

F21.974

2

63 8883360

၁၃

სხვათა პოლია ქართული სტამბის წინაშე

8. ქ.



გამოცემა

ხელოსნის ვაზლამ ტექშელაშვილის მიე-

რუსის

სტამბი „განათლება“ დ. ლ. პირნალა.

1911 წ.

# 3267263 2003363

002 : 648464

ღ

სხვათა შრომა ქართული სტამბის წინაშე - 48464  
8. ქ.

184

100



გ ა მ ი ც ი მ ი

სელოსნის ვარლამ ტყეშელაშვილის მიერ.

ტ ფ ი ლ ი ს ი

სტამბი : განათლება : დ. ლ. პიტნავასი. 38464  
1916 წ.

553- (1913)



საქართველოს  
ეროვნული ბიблиოთეკი

საქართველო  
2000-2009 წლების  
ეროვნული ცენტრი

ფ 21.974

საქართველოს ეროვნული ბიблиოთეკი  
სამართლის მიერ გადასახლებული დოკუმენტი



ଓ সঁও রো

ქართველი სტამბისა და მწიგნობრობის სკეპტიკისა.

1625 - 1900

ევროპაში, გუტენბერგისაგან შემოღებულ სტამბის  
იარაღის მოგონების ცნობები, ერთიან მაღლ მოიფინა,  
ახლად დაბეჭდილ წიგნების ცნობები მთელს ევროპას  
შეღვასავებ მოედო, ეს ცნობები ბალაკანის კუნძულზე  
მცხოვრებ სლავიანებმაც კარგად შეიტყვეს. ჩვენშიაც გაი-  
გეს, რომ ევროპაში სასტამბო იარაღი და წიგნის ბე-  
ჭდვაც მოუვონიათო. წიგნის ბეჭდვის ამბები მჩინეალთ  
სჯეროდათ, მრავალთათვის დაუჯერებელი იყო. ჩვენს  
დაუჯერებლობას მაღლ მოევლინა უქარი წამილი, ევრო-  
პის კათოლიკე სარწმუნოების მაღიარებელთ მამათაგან  
ამის ცნობები საქართველოშიაც მაღლ მოიფინა, დაუ-  
ჯერებელი ამბავი დასაჯერებელ ჰყვეს მით უფრო, რა-  
დგანაც მაშინ ტფილისში, კათოლიკის სარწმუნოების  
მაღიარებელთ ეპისკოპოზის კათედრაც არსებობდა და კა-  
თედრაზე მათი ეპისკოპოსნი განავებდნენ. ამ მოძღვართ  
მეოქებით სტამბის ცნობებს გარდა სხვაც ბევრი რომ სა-  
ყურადღებო ცნობები გავრცელდა საქართველოში.

ქართველთ ოუმცა იღრიდგანვე შეიტყვს, რომ ეერო-  
პაში წიგნის საბეჭდი შემოილესო, მაგრამ მათგან სარგე-

ბლობის ოცნება კი ჰაზრათიც არ მოსდიოდათ. ჩუტენის  
ბერგმა 1455 წ. გამართა თავის პირველი სტამბა, ამის  
შემდეგ მალე სლავიანთ ტომებმაც იწყეს დამართვა. ამ  
დღიდ საქვეს სოსხებმაც დროით მიაქციეს ყურადღება,  
ამათ 1557 წ. ვენეციაში, გამართეს სომხური სტამბა,  
ამის ამბავშიც მოაწია საქართველოში, ამანაც არა მცი-  
რედი მიშვნელობა იქონია ქართველებზე. 1564 წ. რუ-  
სებმა გამართეს მოსკოვის პირველი რუსული სტამბა. ეს  
ამბავიც მალე შეიტყოს ქართველთა, მიეცნენ სტამბის  
ნატერას, მაგრამ მოხერხება კი ერთობ უძნელდებოდათ.  
საქართველოში სტამბის გახსნის ნატერას და საქმეებს ის  
გარემოებაც უფრო აფერხებდა, რადგანც როდესაც ეს  
შესანიშნავი საქმე ევროპაში გაბრწყინდა, სწორედ იმ  
დროს, საქართველოსთვის კი დადგა შავი და ბნელი  
დღეები, იმ დროს იწყეს ჩენის თავზე მუსულმან მტრებმა  
ნაერდობა და პარპაში, აქ სტამბის გახსნისთვის აღარა-  
ვის სცალოდა. იმ დროს საქართველო განცალკევდა ნა-  
წილ-ნაწილ, დაიყო შტოებათ, სამეფოებათ, ჩვენდა სა-  
უბედუროდ, გარეშე მტერთ გარდა, თვით ქართველთაც  
იწყეს ერთმანერთში მტრობა და ბრძოლა, ხშირად მთა-  
ვარი მთავარს ეპრძოდა, სახლიშვილი სახლიშვილს, ხეობა  
ხეობას, მთა მთასა, ბარი ბარს, ქართლი კახეთს, იმერე-  
თი თვის სამთავროებს და ყველა ესენი კი ერთმანერთს.  
ყველა ამავებით კარგათ სარგებლობდა ჩენის გარშემო  
მყოფ მაპმადიანები. მათი მახვილი სასტიკათ გვესვებოდა  
გარს, შინაურ მტრობას მაინცა და მაინც დიდი შესა-  
გარს, ზარალი არ მოპქონდა, რაც იყო და რამც მო-  
მწნევი ზარალი არ მოპქონდა, რაც იყო და რამც მო-  
გვილო ბოლო, ეს იყო გარეშე მტერთაგან მოწოლილი  
ძალა. გარეშე მტრებთა ბრძოლით ქართველთ ისე გაუ-  
ძლათ საქმე, რომ სტამბის გახსნა კი არა და სიცოცხლის  
მფარევლობაც კი უჭირდებოდათ.



მრავალნი ჰქონია ბდენ და ჰქონია ბდენ კიდევ, რომ  
საქართველოში, სტამბის არსებობის ცნობებმა ერთობ  
გერან მოაღწია, ქართველებმა სტამბა ერთობ გვიან  
გახსნეს. ვინც ჩვენს წარსულს დააკეირდება, იმას ეს  
საკეირელად არ დაუშოვდა თუ საქმეს დავაკეირდებით და  
შევადარებთ ქართული სტამბის და წიგნის ბეჭდვის საქმეს  
რუსებისა და სომხებისაგან დახსნალ სტამბებთა რიცხვს,  
ეს მაინც და მაინც შორი-შორს არ გამოვა, სულ 65  
წლის განსხვავებას შეადგენს, პირველი ქართული სტამბა  
1625 წ. რომში იქმნა გამართული, 1626 წ. ქართული  
ანბანის წიგნაკიც გამოიცა. ასე და ამ გეარათ, ჩვენ ვხე-  
ლავთ, რომ გურენბერგმა ეცროპაში 1455 წ. გახსნა პი-  
რველი სტამბა, სომხებმა 1557 წ. ვერეციას, რუსებმა  
1564 წ. მოსკოვს და ქართული სტამბა ქართველთ ლა-  
თინის წეს-რიგის პატრებმა 1625 წ. გახსნეს რომში.  
ისიც უნდა ვსოდეთ, რომ ქართველთ შორის სტამბას  
გახსნის საქიროება XVI საუკ. დამლევსვა გამოითქვა, ეს  
გამოთქმა პირველად ლათინის წეს-რიგის პატრებისაგან  
დაიძრა, ამას ნატრუა მათ ქართველთ დიდებულთა და  
მეფეებსაც მოახსენეს. მათი მოხსენება ყველას ესიამოვნა,  
XVII საუკ. დამდეგს, რომში მათგან მიწერ-მოწერაც  
გაიმართა, პაპს ავედრებდენ საქართველოს მფარველობას,  
რომში ქართული სტამბის დაარსებას და წიგნების ბეჭდვას.  
ასეთს ნატრუას არამც თუ უცხო ქვეყნათა „პრაპაგანდოს“  
ძმები და მამები აღვნენ, არამედ ყველა იმ დროის სხვა-  
და-სხვა ორდენის ძმანი და მამანიც, ყველას დიდი სი-  
ბრალული ჰქონდა აზაში ქრისტიანობის მფარველ სა-  
ქართველოსი. ნამეტურ პატივით უმზურულენ პაპი და მისი  
კარდინალები.

ერთის ლათინის წეს-რიგის პატრიკიაგან ასეთი ცნობა



არის წარდგენილი პაპის წინაშე ქართველების შემატებულობა „მთელს აზის სამეფოებთ შორის ქრისტიან მეფენა და ერნი მძლავრის მუსულმანებისაგან დაეცნენ, დაეცა თვით ვიზანტია, მაგრამ საქრისტიანო საქართველო, რომელიც შე ზღვის და კაპის ზღვის შუა სძვეს და ორმელ ქვეყნის ხალხნიც განთქმულნი არიან ქრისტიანობის მუარა-ველობით, დღევანდლამდე შეინახეს თავიანთი საკუთარი მეფობა, მთელს აზის დაცუმულ ქრისტიანებს ესენი შველიან, ამათ მეტი მათ მფარველი, პატრიარქი არავინა ჰყავსთ, აზიაში ქართველთ დიდი ამაგი, დიდი შრომა მი-უძლვით ქრისტიანობის მფარველობისთვის, კავკასიის ერთ შორის სადმე თუ ქრისტიანობა ბრწყინავს, სადმე თუ მი-სი შექი ანათებს, ამ შუქის სინათლის მიმცემი ქართვე-ლები არიან. ასეთ ლირსეულ, ასეთ თავდადებულ ერთა-თვის საჭიროა სტამბის გახსნა, წიგნების ბეჭდვა. და თქვე-ნის უწმინდესობის მფარველობა, რადგანაც მათ შორის არა მცირედნი სცხოვრობენ ისეთნიც, რომელნიც ჩვენს სარწმუნოებას აღიარებენ“. ასეთი ცნობებით აღსასილი წერილები მისიანერს მარიოს მაჯის, სტეფანე პაულინს და ნიკიფორე ირპახსაც ხშირად უგზავნიათ პაპის წინაშე და დიდათ ცდილან ქართული სტამბის გახსნას. აშათს ასეთს დიდს ნატვრის თვით მათივე საქმის ფაქტები გა-მოაჩენენ. ამათზე შეერათ წინეთ-კი სხვა მის-ონერებსაც უსაუბრია და უშრომერიათ რომის წინაშე ქართული სტამ-ბის გახსნის საჭიროებისათვის.

მხე მქადაგებელთ მეობებით რომის უმაღლეს სამ-დვდელოების წინაშე ძრიღლ უადვილესად დაიბადა პაზ-რი ქართული სტამბის გახსნის შესახებ, ბევრის საუბრის და კამათის შემდეგ უკვე გადაწყდა ქართული სტამბის გახსნის კითხვა და ყველა ხარჯი იკისრა პაპის გამგეო-



პამ. ამ საქმეს დიდათ ხელს უწყობდენ ზემოთ შემცირებული პირები: მარიოსი, სტეფანე და ნიკიფორე. ამათ შეადგინეს ქართული ანბანი, მათის თავდარიგითვე ჩამოასხეს ქართული ასოების ყალიბები, ამათის ზედამხედველობით დაარსდა სტამბა, ამათვე შეადგინეს და დასწერეს ყველა ის წიგნები, რაც-კი საჭიროდ დაინახეს დასახეჭდოთ. 1625 წ. უკვე გამოცხადდა ცნობა, რომ პაპის „უცხო სამქადაგებლო ძმობის“ თავოსნობით და პაპის ძფარეველობით რომში ქართული სტამბა ფურძნდებათ. ამ დროს პაულინი, მარიოსი და ნიკიფორე რომში იქმნენ მიწვეულნი, მათ მალე მოაწერეს სტამბა, მის გამგეობა თვით იკისრეს და 1629 წ. უკვე ქართულ იტალიურ წიგნიც დაბეჭდეს. პირველად რომში დაიბეჭდა ქართული ანბანი—ლოცვებით, ეს ლოცვები საქართველოს კათოლიკეთათვის იყო საჭირო, რადგანაც ლათინის ბერებს ძრიელ უჭირდებოდათ მრეელისთვის ანბანის და ნამეტურ ლოცვების გადაწერ-გადმოწერა. იმ დღიდამ ვიღი 1800 წლისმდე, რომში ქართული წიგნების ბეჭდეა არ მოსპობილი. ანბანსა და ლოცვებს მოჰყვა „ქართულ იტალიურ სლავიანი“ შეაგნილი სტეფანე პაულინისაგან ნიკიფორე ირბახის დახმარებით და დაბეჭდილი 1629 წ. რომსვე. ითვით წიგნის სათაურიც, რომელიც მოგვყავს შეუცვლელობდ.

Dictionario giorgiano

e Italiano. Composto da Stefano Paolini con l'aiurio del M. R. P. D. Niceforo Jrbachi.

Giorgiano, Monaco di S. Bafilio.

ad vso de' Missionarii

della Sagra Congregatione de Propaganda fide.

გამოცემა In. Roma,

Nella Stampa della Sagra Congr. de Propag. fidei.  
CICDC XXIX=1629  
Con licenza de' superiori.

ამ ხათაურის შეორე გვერდზედ მოხსენება არს და-  
ბეჭდილი თვით წიგნის შესახებ. მეხუთე გვერდზედ წი-  
ნასიტუვაობა იწყება, რომელიც შედგენილია „პროპაგან-  
დოს“ ძმებისაგან, რომ ეს „ქართულ-იტალიური სლავარი“  
იკურიელთ სასარგებლოთ იბეჭდება. წიგნის დასაწყისი ასე  
იწყება: — „Alfabeto Giorgiano“. ამას მისდევს ქართუ-  
ლი ანბანი, ანბანის შემდეგ სიტყვები იწყება, სიტყვებზე  
მიწერილია ქართული ასოებთ ეს სიტყვები, რომელიც  
თავის წერტილებითვე მოგვყავს აქ: — „::ღეჭსი:: იბერია-  
გო:: ფრანცია::“ ქართულ ასოებს გვერდით ლათინური  
ანბანი აქვს დაბეჭდილი, იგი ხსნის ქართულ სიტყვებსაც,  
გვერდზედ ლათინური სიტყვებიც აქვს მიბეჭდილი. ამ სი-  
ტყვების შემდეგ ქართული ასოები ლათინურის ასოები-  
თაც არის ნაბეჭდი, რომ მისიონერებს გაადვილებოდათ  
ქართული ენის შესწავლა. წიგნი შეიცავს 128 გვ. თო-  
თო გვერდზედ დაბეჭდილია 18—19 სიტყვა, ყველა ქარ-  
თულ სიტყვის თავის თარგმანიც აქვს. თავის დროის კვა-  
ლით ეს წიგნი საქამარის კარგს ქალალდზე დაბეჭდილი,  
ასეთი ქალალდი მაშინ-კი არა და XVIII საუკ. იშვიათი  
იყო საქართველოში. „სლავოს“ მოჰყვა ქართულ-იტა-  
ლიურ გრამატიკის შედგენა, რომელ გრამატიკის ბოლოს  
ქალდეური, არაბული და ებრაული ასოებიც არის მო-  
თავსებული. გრამატიკას შედარებითი კილო აქვს მიცე-  
მული. უნდა ესთქვათ, რომ იმ დროის კვალით ეს შრო-  
მა ჩვენ ერთოვანი ლიტ. სამეცნიერო შრომათ მიგვაჩნია,



დიდს შრომას გარეშე, ამ წიგნის დაბეჭდვა მაშინ დღიულს, დიდს ხარჯსაც მოითხოვდა, რადგანაც იგი ვრცელი ტომია. ეს „ქართულ იტალიური გრამატიკა“ მისიონერს ნიკიფორე ირბახს შეუდგენია და გამოუციათ მხოლოდ 1670 წ. რომს, ვინ გამასცა, თვით ენერგიულმა მისიონერმა ნიკიფორემ, თუ სხვამ? — ეს არ სჩანს, ვინ იცის იქმნება იდი ამ დროსაც ცოცხალი იყო. აი თვით ამ წიგნის სათაურიც, რომელიც წიგნილამ შეუცვლელად მოგვყავს აქ:

Syntagma fon hingvarim orientalium quae in georgiae regionibus au'diuntur Liber primus Complectans Georgiana, seu Ibericae vulgaris linguae Institutiones grammaticas Authore D. Francisco-Maria Maggio, clero regulari, Panormitano.

Romae,

Ex Typographia sacrae Congratinis de Propaganda Fide M. D. C. LXX 1670 წ. Superiorum permissu.

ამ შრომიდამ ნათლიად სჩანს, რომ ნიკიფორე ირბახი დიდი შრომის და ენერგიის მისიონერი უნდა ყოფილიყოს. წიგნის გვერდთა რიცხვი შეიცავს 400 გვერდს, დაბეჭდილია საწერ მთელ თაბერან ქალალდზედ. ამ წიგნებს გარდა სსენებულ პირებს სხვა წიგნებიც უბეჭდავთ, მაგრამ ჩვენ ამ წიგნების არაფერი ვიცით. 1733 წ. ამავე სტამბაში გამოსცა პატრიმა ტულუკაანთ დაეითამ „საქრასტიანო მოძღვრება“ რომის ქართველ კათოლიკეთათვის, შემდეგ ეს „საქრისტიანო მოძღვრება“ მეორეთ 1793 წ. იქნა გამოცემული და შესახედ 1800 წ. შესამც გამოცე-



მაში მდედრელს ახალციხეელ ბალინაშვილსაც მიუღია მართვა  
ნაწილეობა. 1741 წ. ამავე სტამბაში გამოსცა პატრიმა  
ტულუკანთ დავთამ პატარა „საქრისტიანო მოძღვრება“  
მოკლედ დარიგებული მარტვილთათვის. დაიბეჭდა წმიდა  
რომის ქალაქს, სასწავლოს შინა, რომელსაც ქართულათ  
ჰქვიან „პროპაგანდო ფაზე“ მთავრობასა ბენედიქტე XII  
რომის პაპისა 1741 წელს. გამოცემის ხარჯი პაპის ყო-  
ფილი. ქართული ასოების შესახებ უნდა ვსთქვათ,  
რომ იგინი კარგათ ჰაბატენ ქართულ ანბანის სა-  
ხეს თავის მოქარებულობით. ასოების ზომა დღევან-  
დელის ასოების მეთექვსმეტე ნომერს უდრის. უნ-  
და შევნიშნოთ, რომ „სლავიაში“ ნახმარია ძველი  
ქართული მართლ წერის ნიშნები, სამ-სამი წერტილი  
ჯვარედინათ, რის ხმარებაც XVI საუკ. საქართველოში  
მხედრულს ხელთ-ნაწერებში წინ წავიდა. ქართულის გრა-  
მატიკიდამ კი ეს გამოდევნილია, აქნახმარია მართლ წერის  
ყველა საგრამატიკო ნიშნები. ასე რომ ამის მზერით კა-  
ცი განცვიფრდება, პირველად ლათინის ბერებმა შემო-  
იტანეს ეს ნიშნები ჩვენში, პირველად ამათ იხმარეს ქარ-  
თულს წიგნებში. XVII საუკუნეში-კი არა და ამ ნიშ-  
ნების ხმარება ქართველებმა ოვით XVIII საუკუნეშიაც  
არ იცოდენ. ამ გრამატიკაში ნიშნებიც საოცარის სი-  
ფრთხილით არის ნახმარი, არსად კაცა მათ უადგილო-  
ბას ვერ შენიშნავს, ყველგან რიგზე არიან დანიშნულ-  
ნი.

უნდა ვსთქვათ, რომ ქართველ ერის ისტორიაში,  
პირველ ქართულ სტამბის გახსნა 1709 წ. კი არ უნდა  
მივაწეროთ, არამედ 1625 წ. რომშე, როცა პაპი  
ურბანუს მერვე საქართველოს მფარველი გახდა, როცა  
საქართველოში მათი მეადაგებლები გაჩდენ. ჩვენ, 1626 წ.



უნდა ვიანგარიშოთ ქართული სტამბის გახსნისთვის არარაოვა  
გია, რომ ასეთ დიდს საგანს, ძეირფას მხარეს ჩევნის  
ისტორიისას, სტული ჯეროვანი ყურადღება მიექცეს,  
ოდესმე რომში პირველ ქართულ სტამბის დაარსების სა-  
ხსოვრად ვიდლესასწაულოთ კიდევ, მთელს ევროპას ე-  
მცნიოთ, რომ პირველი ქართული სტამბა როდის და  
სად გაიხსნა, იმისთანავე აინუსხოს ისტორია იმ განწყო-  
ბილების, პატივისცემის და სიმრალულის, რაც კი ჩვენს მე-  
ფებს და პაპებს შორის ყოფილი დამკვიდრებული. იმ  
ისტორიისთვის რომში ძრიელ ბევრი მასალები აღმო-  
ჩნდება, იმ მასალებიდამ კარგათ გამოსჩინდება, თუ რომის  
ტახტმა რა განძრახებით გახსნა რომში ქართული სტამბა.

რომის სტამბის და წიგნების ბეჭდვის ცნობებმა სა-  
ქართველოშიაც მალე მოაღწიეს, ჯერ ქართველთ დაბე-  
ჭდილი წიგნები არც კი ენახათ ოფალით, რომ სიტყვით  
ესმოდათ: რომში, პატრებს ქართული წიგნები დაუბე-  
ჭდიათ. ეს ოქმულება მალე გამართლდა, ლათინის პა-  
ტრებმა ქართულად დაბეჭდილი წიგნები მალე შემოი-  
ტანეს საქართველოში, ეს ნაბეჭდი წიგნები ოთხსაუკუ-  
თნივ მოჰვინეს, ყველა ქართველი განკვირვებულ იყო  
ასეთის საოცარის საქმისაგან, მრავალთ იწყეს ოფალის  
გახილება და ირგვლივ ფხიზლათ მზერა. იმ დროის ქარ-  
თველთ ხშირად უსაუბრიათ სტამბის და წიგნის ბეჭდვის  
საჭიროებაზე, მაგრამ მოხერხებით კი ვერ მოუხერხებიათ,  
შინაურს და გარეულს მტრობას და გარემოებას ხელი  
შეუშლია მათთვის, ხოლო რაც შეეხება სტამბის გახსნის  
საჭიროებას და ცნობებს, ეს საქართველოში უპირვეველე-  
სად რომიდამ შთამოლევრილა, ასე რომ ჩვენი სტამბების  
ისტორიის სიღიადე რომიდამ იწყება და ამ მნიშვნელოვან  
დიად საქმის წარმომადგენლებათ მარიოს მაჯი, ნიკოლოზ



ირბახი და სტეფანე პაულინი იგულისხმებიან, ესენი უმოქანდაკი ჩატარებული ჩვენი წარმომადგენელნი, ამ მოძღვართ მოქმედება და სახელები ანათებენ ჩვენის ბეჭდვეს ისტორიაში. ოდესმე თუ ქართულს ან ევროპიულს ენებზე დაიწერა ქართული ბეჭდეს ისტორია, იქ ეს პირები მაშინ უპირველეს აღგილს დაიკავებენ.

ამ მქადაგებელ მოძღვრებთა შესახებაც ვიტყვით მცირედ რამეს: ზემოხსენებულ მოძღვარ მისიონერებში გარდა ნიკიფორე ირბახის ყველანი ტომით იტალიელნი იყვნენ, იგინი ეკუთვნოდნენ პაპის „უცხოთა სამქადაგებელო მმობას“, რომელსაც მათებურით „პროპოგანდო ფიაზე“ ეწოდება. ესენი ადრიდგანვე იყვნენ აზიის კვეყნებში ნავალი, შემდგომ მოგზაურობის ივრი დაემკვიდრნენ საქართველოში. აქ მათ კარგა ხანს იცხოვრეს, გაიცნეს საქართველოს კუთხები, ხალხი, ენა, ისტორია სხვა-და-სხვა პირობები და ბოლოს ამ ხალხის ხეის ცდა და ღწევას მიეცნენ, უკანასკნელ მათის მიოხებით რომში ქართული სტამბაც გინენა. ამ ხახელოვან მისიონერების ცხოვრების წლები 1650 წლებამდე სჩანს, შემდეგ კი ისპობა მათი ხახელის მოხსენება. საქართველოში მათი მოხელა შეეხება 1615 — 1617 წლებზე არა უგვიანეს. სტამბის გახსნის შემდეგ ესენი მიხმობილნი იქმნენ რომში. რომში მისულთ ქართველთ ერს მარტოთ სტამბის გახსნა და წიგნების ბეჭდვა არ აქმარეს. ამათ მოხსენება მიართვეს პაპს და ითხოვეს „პროპაგანდოში“ ქართული ენის კათედრის დაარსება და საყოველოთავოდ იქ ქართული ენის მცოდნე პროფესორის ყოლა. პაპი თანხმა გახდა ამის და მალე იქმნა უმაღლეს სახულე-ერო სახწავლებელში ქართული ენის კათედრის დაარსება, მასზე პროფესორათ დადგენილ იქმნენ თვით ეს მოძღვარნიც, რის შემთხვებით რომიდამ ესენი



საქართველოში კელარ დაბრუნდნენ. იქ დარჩნენ, იქ შოლვაწეობდნენ ჩვენის გეარის სასარგებლოთ, ჩვენის წარსულის მამა-პაპათ ძეთ გონების განსანათლავათ. ქართულ ენის პროფესორებთ რიცხვი რომში თვით მეტერამეტე საუკუნის დამდეგამდისაც კი არ მოსპობია. უკანასკნელ დროს, ე. ი. 1800 წ. რომში, პაპის „უცხო ქვეყნათა სამქადაგებელო“ ენის კათედრის უფროსად ახალციხელი მღვდელი გრიგოლ ბალინაშვილი იყო, რომელიც აგრძოვე სომხურ ენის პროფესორათ იგულისხმებოდა.

საშუალ საუკუნოებიდამ, კვრობაში, კათოლიკის სარწმუნოებისათვის იწყება თასნაირი სარწმუნოებრივი ბრძოლა და კამათი. სასტიქს კარის რეფორმაციებიც მოჰყა. იმ დროს, კათოლიკის ეკკლესია დიდს განსაკლელში იყო, მას დიდი გახაჭირი ადგა, მაგრამ რომ ამ გაჭირვების დროსაც კი არ დაუკიტყნია საქართველო და ქართველი ხალხი, აღმოსავლეთის ხალხებთ შორის საქმარისი ზედამხმარელობა პქანით ქართველობაზე მიჰყრობილი, ქართველთ სასარგებლოთ იგინი ფულსაც საქმარისად ხარჯავდნენ. ეს დიდათ საყურადღებოა და მასთან ვე პატივ საცემი. ეს ისტორიული მშვენება ჩვენის ისტორიისა მომავალში იქმდის დიდებით და სხივოსნობით შეიმოსა, რომ ქართული წიგნების საბეჭდი სტამბები რომის სტამბის მიბაძვით ექნეცის, ფრანციას და კონსტანტინეპოლის იქმნენ დაარსებული, სადაც ქართველთ კათოლიკის ბერებისაგან აღიბეჭდნენ მჩავალი სასარგებლო ქართული წიგნები. ონდა ითქვას მოკლეთ, რომ თვით XVIII საუკ. ვახტანგ მეფისაგან გახსნილს სტამბის წინამორბედათაც ზემო ხსენებულ რომის სტამბა უნდა ჩაითვალოს.

ქართველ სამღვდელოებას პატრების მოქმედება



თვეალ წიჩ სარკესავებ დაუდგათ და XVII საუკუნის მი-

ლოს, რაღაც ბელზედ, ვალახიაში ყოფილი ერთი ქარ-

თველი ეპისკოპოსი, რომელსაც კარგათ შეუსწავლიდა

სლავიანთ წიგნების ბეჭდების ხაქმე, ამას მსწრაფ მიუქცე-

ვია უურადლება ქართულს ენაზე წიგნების ბეჭდების შე-

მოლებისთვის. მას დიდი ნატრა მისცემია საქართველო-

ში ქართული სტამბის დაარსებისთვის, ამიტომ ამ მღვდელ

მთავარს საქართველოში მიწერ-მოწერა გაუმართავს და

რჩევა, რომ დროა, თფილისში, ქართული საპეტრი სტამ-

ბი დავაარსოთ. ამის თანხმანი მალე გამხდარან ქარ-

თველთა დიდებულნი და წერილიც მიუწერიათ, რომ

ძრიელ კარგი იქნება, თუკი ქართველები ამას მოვახერ-

ხებთო. ამ განძრახვის მეთაურათ ვახ. მეფეს სთვლიან,

მაგრამ ეს არ არის სწორი, ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ზე-

მო ხსენებულ ეპისკოპოზეს და ვახტანგ მეფეზე ბევრათ ად-

რე სტამბის გახსნის შესახებ საუბარი არჩილ მეორესაც

ჰქონია, რომელიც მოსკოვში კარგა ხანს სტავრებდა,

გარემოებამ ამას არ მისცა შემთხვევა სტამბის გახსნის,

მისი საქმეები მრავალნაირათ დაიხვანჯა, მხოლოდ შემ-

დეგ დროს,—ამის ნატრა ვახტანგ მეფე შეასრულა

ზემოხსენებულ ეპისკოპოზის ღწვით და ქადაგებით.

ბევრის მიწერ-მოწერის შემდეგ, ზემოხსენებულ ეპის-

კოპოზეს ვალახიაში ჩამოუსხმევინებია ქართლი ასოები,

ამ ასოების ნიმუშები საქართველოში გამოუგზავნია, შე-

მოუთვლია: „ნახეთ ეს ასოები და თუ მოგეწონებათ, მაშინ

დასთანხმდით და თქვენც მიღდეთ, თუ არ მოგეწონებათ, მა-

შინ უარი სთქვით“. ასოების მიღებისათანავე ქართველთ

დიდათ მოეწონათ, ამათ ეპისკოპოზეს თანხმობის წერი-

ლი მისწერეს, დაავალეს შრომის მიღება, ყველა იარაღის

მოპოვება, მცოდნე ოსრატების და ყველა მათ სა..



ქართველოში გამოგზავნა და სტამბის დაარსება. ქართველოში გვისკოპოზიაც დიდათ ესიამოვნა ესეთი ნატერა, მეფის ვახტანგის ბრძანება უმაღლ შეასრულა, მაღვ იშოვნა ოსტატი კაცები, მოიპოვა ყველა სასტამბო იარაღი, ჩამოასხმევინა ქართული ასოების ყალიბები, ყალიბებს მოჰყვა თვით ასოების ჩამოსხმაც და უკანასკნელ მეფის ვახტანგის და ლეონ ირანთა მხაჯულის ხარჯით საქართველოშიაც გამოგზავნილი. ოსტატებთ შორის ოთხი კაცი ყოფილა ხელოსანი, ერთი შეეჭდავი და სამიც ამომწყობი, ერთი ამათვანი მიხაილი უფროსი ყოფილა. ჩვენის პაზრით ეს რიცხვი უნდა შეეხებოდეს 1707 წ. არა უგვიანეს, რადგანაც 1709 წ. თფილისში უკვე გამოიცენ ქართული წიგნები. ვიდრე სტამბა დაარსდებოდა, მინამდის თფილისში დაფუძნებულ იქმნა ქართველთ მწიგნობართ გუნდი, რომელ ბრძენთაც მუშაკობა იწყეს ქართულ სამლოთო წერილის განხილვის, ბერძულს დედნებთან შედარების და საბეჭდათ მომზადების. ვახტატი და ვახტანგი-კი ისტორიულ, გეოგრაფიულ და სხვადა-სხვა მასალების შეკრებას მიეცნენ. ამათ თავიანთი შრომა შემდეგ დროებში რუსეთში. დამთავრეს. ერთი ამ მშრომელთაგანი ნიკოლოზ მლვლელ-მონაზონი, ორბელიანი ყოფილა. 1709 წ. გამოცემულს „საქმე მოციქულთა“-ს ბოლოს ი რა გვარი შენიშვნა არის მიწერილი: — „ოდეს განაგებდა საქართველოსა მმისწელი ბეთაღ მორწმუნე მეფის არჩიდას და სასედოვანის მეფის გიორგისა და ნატონის დევანისა ღვთის მოუკარე, განათლებული კახტანგი, გულ მოადგინა და მოიღო სტამბა კადახეთით, რომელ არ ღვეს უთვილიურ საქართველოში, ხელით წერაში ჩვენი სამდროთი წერილი განრუკნილიყო, და მე, დედის მმისწელსა ამა მონაზონს ნიკოლოზ (ორბელიანს) მიბრ-



ჰესა წიგნების გასწორება და განსიღვა. დიდის ჭირითა მუშაობისათვე  
 მენთ სამოციქულოთ შემწეობითა, სიტუაა და ასო მეტ საკ-  
 ლები გაქმართე და ესე საძიებელი არც ერთ ენაში არ იყო,  
 სიადილისა და ადრე პოვნისათვის ახლა მე გავაკითე და ოუ-  
 გულის ხმა უოვ, დიალ ადგილია და ამის სწავლება საძიებლის-  
 თვის,—იქ იძიე, კინც ჩემი ნაშრომი წიგნები ნახოთ, ღვთის  
 სიყვარულისათვის, შენდობას მიბრძანებდეთ, მე დიდათ შემე-  
 წევის და თქვენ უზრუნველ იქნებით“. იმავე წელს დაიბე-  
 ჭდენ „დაუჯდომალი“ 1000 კ. პატარა ლოცვანი 1000 კ.  
 1710 წ. გმოიცა „უამნი“ 450 გვ. ბოლოს მოხსენებუ-  
 ლია:—„უამნი, აწ ახლად დაბეჭდილი ქართულს ენისა ზედა,  
 უამსა ამაღლებულისა და სახელოვანისა მეფისა, უფლისა ქა-  
 ხოსროსა, წარსაგებულითა და საფისათა ბატონიშვილის უფ-  
 ლისა გახტანგისა, გამძრთა ხელითა ნიკოლოზ მღვდელ-  
 მონაზონის ორბელიშვილისთა და მიხეიდ სტეფანეს ძას  
 თგართ კლასელისა ხელითა“. სხვა წიგნებზედაც ესევე ნი-  
 კოლოოზ მღვდელ-მონაზონი აწერს, რომ მე გავ-  
 მართეთ. ზოგი წიგნები სხვებს გაუმართავთ, მეთაურო-  
 ბა-კი ამას სცერიი. შემდეგ ეს მღვდელ-მონაზონი  
 თბილელით იქმნა აპყვანილი. 1709—1713 წლე-  
 ბამდე თფილისში დაიბეჭდვენ შემდეგი სასულიერო  
 შინაარსის წიგნები: ზოგი ორჯერ სამჯერაც გამოიცენ:  
 კონდაკი 500 კ., ზატიკი 500 კ., უამნი, მეორეთ 500  
 კ. სამოციქულო მეორეთ, დავითნი, სახარება მეორეთ,  
 ვრცელი ლოცვანი, მცირე ლოცვანი მხედრულით, ტი-  
 ბიკონი, კურთხევანი, პარაკლიტონი, სადლესასწაულო,  
 მარჩვანი, ძილის პირნი და ზოგიც სხვა წვრილი საეკ-  
 კლესით წიგნები, ზოგი მხედრულის ასოებით და ზოგი  
 ხუცურათ. ზოგიერთს გამოცემაებს პირველს ფურცელ-  
 ზედა, ზოგს ბოლოს, საქართველოს სამეფო გერბი აზის,

ზოგზე დახატულია მეფე ლეონ აბაშიძე, ქადაგულის მამა  
ვახტარ მეფისა, რომელიც სპარსეთში სცხოვრებდა, იქ  
მთელის ირანის მსაჯულათ ირიცხებოდა, დიდი შესანიშ-  
ნავი კევიანი კაცი იყო. იგი შეერთებულ იქმნა შეას სა-  
რწმუნოებასთან, მაგრამ საიდუმლოთ-კი კათოლიკობას  
აღიარებდა, ზიარებას სპარსეთში მყოფ ლათინის ბერები-  
საგან იღებდა. ამან განუზიარა მოგზაურს მისიონერს იე-  
ზუიტს პოლონელს კრუსინსკის, რომ მე კათოლიკის სა-  
რწმუნოებას ვაღიარებ ჩემიათაო. ასეთი დიდებული მეფე-  
ნი კართველთ ხშირად არ გვყოლია. ეს მეფე საქართვე-  
ლოს სამეფოს საქმეების გამო სპარსეთში სცხოვრებდა,  
შაპის დავალებით მუსლიმანობას აღიარებდა, მაგრამ გუ-  
ლით-კი ნამდვილი ქრისტიანი, ქართველი იყო. ეს მეფე  
სპარსეთიდამ დიდათ ეხმარებოდა საქართველოს, როსტომ  
მეფისავებ, სპარსეთიდამ ეს საქართველოს დიდს მფარვე-  
ლობას უწევდა, თეოთ სტამბის გახსნისაც ეს დიდის სია-  
მოვნებით მიჰებებია, სპარსეთიდამ დიდი დახმარება მი-  
უკია ამ საქმისთვის, ყველაზე მეტათ მას სიმოვნებია, რად-  
განაც სპარსეთში მყოფ ლათინის პატრებისაგან მას კარგად  
სცხოდნა მნიშვნელობა სტამბის გახსნის და წიგნების ბე-  
ჭდების, მისის დახმარების, პატრიონიბის და საქართველოს  
მფარველობის სამახსოვროდ, ვახტანგ მეფესაც ლეონ  
ირანთა მსაჯულის. სახე წიგნებში მოუქცევია, ლეონ  
ირანთა მსაჯული სკამზედ ზის, ხელში ქრისტიანულის  
ჯვრით გაკეთებული ყავარჯენი უჭირავს, გეერლზედ და-  
ხატულია ბაგრატიონების გვირგვინი, ირგვლივ ხუცური  
წარწერა აქვს.

იმ დროის ქართველთა, სამღრთო წერილს გარდა საერთო მშერლობასაც მიიკუიეს ყურადღება, სამართლიერ მოდალობის ღლისრულებას მოჰკიდეს ხელი ღა „ვეზ-



ხის ტყაოსნის” ბეჭდვაც განიძრახეს. შეუდგნენ „ვეფზების ტყაოსნის“ გამოცემის სამზაღვის და 1711 წ. უკვე დაიწყება ბეჭდვა ისე, რომ 1712 წ. „ვეფზის ტყაოსნის“ ცალკე წიგნთ გამოიკა. ამ ძვირფას საუნჯის გამოცემას ზოგი სასულიერო პირნი წინ აღუდგნენ. „ვეფზის ტყაოსნის“ ჰაზრებს ხამებაოთ სთარგმნილენ. ამიტომ ამ წიგნის შინაარსის გარაცხობად ვახტანგ მეფე ასსნა დასწერა, რუსთველის ჰაზრებს შეძობა მოამორა. ამის ასსნა „ვეფზის ტყაოსნის“ ბოლოშია მოთავსებული. ოვათ „ვეფზის ტყაოსნის“ ბოლოს დაბეჭდილია ორი ტაქტი, რომელიც მიუწერ და მიუბეჭდიათ იმ ღროის მწიგნობართ ქორთველთ.

„ვეფზის ტყაოსნის“ პირველს გვერდზედ მოყვანილია შემდეგი: „ვეფზის ტყაოსნი“ აწ ასლად დაბეჭდილი ქართულისა ქართულის ზედა, ქამისა ამაღლებულისა საქართველოსა მცერობელისასა, უფლისა ვახტანგისა, შრომითა და წარსაგებელითა მისივე მცერობელისათა, გამართა ხელითა ხელმწიფის კარის დეკანზეს შეიძის ვიქედისათა, ქალაქ თევილისს, ქრისტეს აქეთ 1712 წ. დასაბამითგან ვიდრე აქმომდე 7220“. შეორე გვერდზედ მოთავსებულია ლექსი პატივად ბაგრატიონთ შთამომავლობის შესახებ. მესამე გვერდზედ მოთავსებულია შემდეგი: — „მადიდებელი წმიდისა სამებას მე გვი რტომობით, ძირ მოდგმაბით დაკითანებან, ძის ძემან სახელ განაგებულის მეფის ვახტანგისამან, მმისწერმან ქებულის არჩილისამან და დიდათ პატიოსნის დეკანისამან, მცერობელმან საქართველოსამან, ვახტანგ — მოგაუკანე მესტამბე კლასებით და გაგატოე სტამბა სახსრად სულთა წანა თქმებულთა მეფეთასა, მამისა და დედისა ჩემისა გურიელის ასულის თუთასათვის, სალხინებელად სულისა ჩემისა და წერტაზის ბატონის ასულის დედოფლის რუსულწილს და ძე-



თა და ასეულთა ჩვენთა აღსაზრდელათ". მეოთხე გვერდზედ  
დახატულ დაჲეტდილია სურათი ვახტანგ მეფისა. „ვეფხის  
ტყაოსნის" უკანასკნელ ტაქტის შემდეგ მოთავსებულია  
შემდეგი ორი ტაქტი, რომელიც მოგვყავს აქვე, რადგა-  
ნაც ამ ტაქტს მჭიდრო კაეშირი აქვს ჩვენის სტამბის  
დარსების ისტორიასთან:

„აუ დაიბეჭდა სტამბაში, პირველ ნაწერი ხელისა,  
უბილთა ფრიად სასწავლო, გონიერთ გულთა თმენისა,  
მეფის ვახტანგის ბრძანებით და სიბრძნით კეთილ მქმნელისა,  
და ნაღვაწი მისის მღლოცველის, მესტამბე მიქაელისა".  
დასრულა ესე წიგნი, ქორონიკონის უნისა სმულისა;  
უკედაქასა უსაროდა, რიტორისა და ხმა უსულისა,  
სამღრითოა და საეროცა, კისირა აქეს სმენა გულსა,  
და უსწავლელისა სიბრძნეს მისცემს, გონიერისა გულს უსრულისა.

ჩენ კარგით ვიცით, რომ ვალიხიიღმ საქართველო-  
ში მოსული მესტამბე მიქაელი, უნგრეთელი ყოფილი,  
ხოლო ვალიხიაში მყოფი და აქედამ ი ავის ხელოსნებით  
საქართველოში მოსულა. ამ მესტამბის და მის მხანაგებთ  
ცხოვრების ცნობები ჩენთვის დაფარულ არს, ისე ვი-  
ცით, ესენი საყოველთაოდ საქართველოში დაშორილიან,  
ამათ აქ, საქართველოში, ქართველთ ძეთათვის შეუსწავ-  
ლებიათ ქართული ასოების ხაზვა, ყალიბების ამოქრია,  
ასოების ჩამოსხმა, ამოწყობა, ბეჭდეა, შავი საბეჭდი წა-  
მლის კეთება, თვით რკინა-ხის დაზგების მომზადებაც.  
ერთის სიტყვით სრული ხელობის ცოდნა სასტამბო სა-  
ქმეების. სანაქებოთ ითვლება მათი ოსტატობა წითელ და  
ზავ წამლით ქართული წიგნების გეჭდვის ხელოსნობაში.  
რაც შეეხება ზემოთ მოხსენებულ კირის დეკანზის შეი-



ლის მიქაელის ხსენების კი, ეს ჩვენ სულ სხვა პირთქმ-  
გებინა, სხვა მოღვაწეთ, კარის დეკანოზათ ჩვენ უნდა  
სახეში ვიქტორიოთ ქართველი მეფეთა კარის ეკკლესიის  
მაძღვარი, მაშასადამე ეს მიქელი ქართველი კაცი, ქარ-  
თველი მესტამბე უნდა იქმნეს, იქმნება მან თავის ცოლა  
უნგრეთ-ვალახიელ მესტამბე მიქელ სტეფანეს ძისაგან  
შეისწავლა.

უნდა ვსოდეთ, რომ უნგრეთ-ვალახიელ მიქელ  
სტეფანეს ძემ მოპონინა ჩვენში სტამბის ხელოსნობის ოს-  
ტატობა, ამ ხელობის ოსტატ ქართველი ამან მოპზა-  
და. მისი ასეთი შრომა ქართველ მეფებთაგანიც დიდთ  
პატივულ და ღვაწლ დებულ იქმნა, მიქელი აზნაუ-  
რის შვილობით იქმნა დაჯილილებული 1710 წლებსვე  
ვახტანგ მეფისაგან, იგი უნგრეთ ვალახაში აღარ დაბ-  
რუნდა, საქართველოში დასახუდა და ექვე გარდაიცვა-  
ლა. XVIII საუკუნის ნახ ვას, ამისაგან დაზრდილ მე-  
ტრამბებმა საქართველოში უკვე თავი იჩინეს. ესენი არი-  
ან ასოთ ამომწყობი: რომანოზ რაზმადე, ჩუბინიძე დაეკ-  
თი მღვდელი, მარტყოფელი მღვდელი კეჭერაშვილი,  
გიორგი პატარე, რომანოზ ზუბაშვილი, ანუ ზოგთაგან  
ზუბალაშვილით წოდებული და რამდენიმეც სხვა ასოთ-  
ამწყობნი და მჰერდავნი, პირველ ხარისხის ოსტატი, თო-  
რემ მეორე ხარისხის ხელოსნოთ სახელებს ჩვენ აქ არ ვა-  
სახელებთ. უნდა ვსოდეთ, რომ ჩვენი სტამბების მოღვა-  
წეთ ისტორიის ცნობები ერთობ ღარიბია.

ჩვენდა საუბედუროთ, ქართველთ კეთილ დასაწყისს,  
არ მიეცა დიდი ხნის დრო, 1712 წ. ვახტანგ მეფე სპარ-  
სეთში მიიხმეს, ამის მაზაც იქ იყო, მავრამ საქმე ისე მო-  
ეწყო, რომ ესეც უნდა უსათუოთ წასულიყო, 1713 წ.  
უკვე წავიდა. ვახტანგ მეფის განსვლამ საქმარესად შეა-



ფერხა სტამბის საქმე, ამ სტამბაში, საეროთ „კვერზის-  
ტყაოსანს“ გარდა აღარაფერი დაბეჭდილა, თუ იბეჭდე-  
ბოდა რამ სასულიერო წიგნები. 1717 წ. კვალად დაიბე-  
ჭდა „ეამნი“ 1720 წ. „კურონევა ეკვლესისა და ოდი-  
კისა“ და ორი სამიც სხვა სასულიერო შინაარსის წიგ-  
ნები.] ვახტანგ მეფის სპარსეთიდამ დაბრუნების შემდეგ  
ამ სტამბაში 1722 გამოიკა „აათა“ ანუ ცის ქმნულე-  
ბა, ე. ი „კოსმოვრაფია“ სპარსულიდამ ნათარგმნი თვით  
ვახტანგ მეფისაგან, ამ წიგნთან ერთათ სხვა წიგნებიც  
იბეჭდებოდენ, მაგრამ მათ აღსრულება ვერ მიეცენ, ორი  
წლის განმავლობაში ვახ. მეფეს რამდენ გზისმე მიეცა  
შემთხვევა სპარს-ოსმალებთან ომებისა, ერთ წელს განჯა-  
ზე სამჯერი იყო. სტამბის საქმის მართვის დრო აღარ ჰქონ-  
დათ. 1723 წ. ლეკია და ოსმალთ თფილისი დაიპურეს.  
ქართველთა სტამბის იარაღი მიწაში დაულეს, დამალეს,  
სტამბა მოიშალა სრულიდა. 1724 წ. ვახტანგ მეფე თა-  
ვის სახლობით, დიდის ძალის თავად-აზნაურობით, სამ-  
ლეველოებით, ძეირფასის ნივთებით, ოქრო-ვერცხლით  
და ძველის ქართულის წიგნებით რუსეთში გადასახლდენ.  
ქართლი უპატრონოთ დასტოვეს. ამ გარემოებამ დიდი  
მეხი დაარტყა ქართლს. ქართლის უპატრონო ხალხი მა-  
ინც სულით არ დაეცნენ, მიეცენ ლწვის და უკანასკნელ  
თფილისიდამ ოსმალნი განაძევეს, ლუკი მოსპეს, თფი-  
ლისი გაანთავისუფლეს.

ოსმალთა განდევნის შემდეგ ქართლის ტახტზედ თეი-  
მურაზ მეურე აეიდა, ამის მეფობის დროს სტამბაც განახ-  
ლდა. საჩქაროთ მოძებნეს სასტამბო იარაღები, ყველაფერი  
მოაწყვეს და მალე განცხადდა სტამბის დაარსების ცნობა.  
განახლებულ სტამბის გამგებლათ იგივე პირები იქმნენ  
დანიშნულნი, ვინც ვახტანგ მეფის დროს განაგებდენ. ამ



დროს ქართველთაგან სტამბის შეგირდებიც განამზადეს. მეფის თეიმურაზის ბრძანებით განახლი და ქართული სასულიერო წაგნების ბეჭდვა, მის მეფობაში რამდენიმე წიგნი გამოიცა. თეიმურაზ მეფის შემდეგ გამეფდა დე მისი ინაკლი 11-რე, ამის მეფობის დროსაც შესაუერათ წავრდა სტამბის საქმე, ხელმეორედ დაიბეჭდვენ საეკკლესიო წიგნები. საეროთ გამოიცენ ლაცვები ქართულის ანბანებით. ამ დროებში დაიხოცნენ ყველა ის ოსტატნი, რომელიც ვახტანგ მეფის სტამბის დროიდამ განაგებდენ, ამიტომ შათ მაგიერ სხვა ხელოსნები გამოვიდნ, სტამბის უფროს ზედამხედველათ დანიშნულ იქმნა მესტამბე, მარტყოფელი მღვდელი დავით კეტერაშვილი.

ამ დროს, სტამბა, მეტეხ-ს ეპკლესის გალავანში ჩიყო მოთავსებული, სადაც XVII საუკ. როსტომ მეფე სახლობდა, დღეს იმ აღაგას საპატიმროა გამართული. 1750 წლებში, სტამბის და წიგნების ბეჭდვის საქმე ისე წავიდა, რომ წიგნების საბეჭდათ ცენზურაც იქმნა დანიშნული. ამ წლების შემდეგიდამ ლოცვის წიგნებში ქართველთ მეფეთა სახელების მოხსენების ბეჭდვაც შემოიღეს; მაგალითებრ: მეფის ირაკლის დროს, დაბეჭდოლს „დაუჯდომელში“ მოხსენებულია მეფე, დედოფალი და მეფის ძენიც. 1784 წ. თვილისში გამოიცა „კურთხევანი“ პირველ ფურცელზე ი რა წარწერა აქვს მიბეჭდოლი: — „სადიდებელად... დროსა უოვდად უბრწყინვალესია, უკეთოდმსახურესია და უმაღლესია ირაკლი მეორისა, მეფისა უოვდასა საქართველოისა და კეთიდ მორწმუნისა დედოფლისა დარწევას, დადანისა ასედისა და კეთიდ მორწმუნითა მეფის ძეთა და ასედთასა, კურთხევითა უნტარესისა და უწმინდესისა მეფის ძის ანტონი, პატრიარქისა უოვდასა საქართველოისა, ჩლენის უწმინდესის სინოდისათა, დაიბეჭდა წიგნი



ესე, სამდოთა კურთხევანი, სამეფოსა ქადაქსა თვითილი მის ცალკეული დატსა სამეფოსა, წელსა დასაბამითგან სოფლისა ქსებ, ხოლო განსორციელებიდგან სიტყვისა მდგომისა ჩდნდ. თვესა თებერვალსა რიცხვსა ა“. მეორე გვერდზედ დაბეჭდილია ბაგრატიონების გერბი. ამ ცნობაში საყურადღებოა ის, რომ ანტონ კათალიკოზი რუსეთის უწმინდესის სინოდის წევრათ არის მოხსენებული. ამ გარემოებას უიდი ყურადღება უნდა მიექცეს ოდესმე და ცნობები გაირკვეს კარგათ. ამის მნიშვნელობის ჩვენ არა ვიცით რა.

როგორც გამოვარკვიეთ, წიგნები ყოველთვის სამეფოს საფისით უბეჭდივსთ. მხოლოდ 1793 წ. მღვდელ ქრისტეფორე კეცერაშვილს, თავის ხარჯით რამდენიმე წიგნი დაუბეჭდია. მაგალითებრ აი რას სწერენ: — „ღრა-მატიკის ქანონსა ზედა განმარტვითა შრობის (!) მართვითა მისის უწმიდესობის მონისა, არსიმანდრიოტს ტრაიდალესითა, ხელითა მესტამბე რომანოზ ზებაშვილისათა, მებრძანს უკა-თიდმისახურებისა და უმაღლესისა სეღმწიავისა უოვლისა სა-ქართველოისა, ირაკლი მეფისა, მე, მისსა მონასა, მისის უმაღლესობის ქარის მღვდელი, მარტეფველია ქრისტეფორე ბეჭერაშვილსა განგისა და ზედამხედველობა სტამბისა, რომ-ლისა სურვილი ფრიად მაქნდა და დაგბეჭდე შრომითა და სა-ფასითა ჩემითა: მხედრული „დაუკადომელი“ 700 წ. „პირა-ის სიბრძნე“ გაითს ნაცვლიშვილის თარგმანი 700 ცალი დოცვანი 1000 წ. სახარება 1000 წ. გვალად სახარება 1000 წ. და მარხვანი 1000 წ. შეწევითა უოვლად წმიდი-სა სულისათა ესე უოველნი ზემოსსენგაულნი წიგნი დამიბე-ჭდავს სარჯითა ჩემითა, აღსამაღდებლად და განსაძლიერებ-ლად უფლისა ჩემის, მეფის ირაკლისა, და სალხად ათდევა-ლისა სულისა ჩემისა, რომელიცა კმოქენეობ მხილველთაგან შენდობისა“. აქ უნდა ესთქვათ, რომ დავით მღვდელი



კეშერაშვილი და ქრისტეფორე მღვდელი კეშერაშვილის ჩანაწერი მამა და შვილი მიცვას მიამას შვილს მამის განდა ესწაველი სტამბის მართვა და ხელობა.

საუბრებუროთ ვერც ამ სტამბის წაუყიდა საქადე ბე-  
დნიერათ, 1795 წ. მრისხანე ხევდომა მასაც მოუსო  
თავისი ცელი. სტამბის სტანკების და საჭირო იარაღის  
ზოგი ავლაბარში, მიწაში დაფლეს, ზოგი გორისაკენ წა-  
იღეს და იქით შეიჩხეს. მტრის განსვლის შემდეგ, და-  
ვით კეშერაშვილს მეფისაგან ებრძანა სტამბის მოხერხება,  
განწყობა ხელ ახლავ, იგი შეუდგა იარაღის მოკრებას,  
მაღლე მოკრიბა და 1796 წ. ამ სტამბაში რამდენიმე ვრცე-  
ლი სასულიერო შინაარსის წიგნებიც გამოიცნ. 1798  
წ. მეფე ერეკლე გარდაიცვალა, გამეფდა ძე მისი გიორ-  
გი XII-ე. სტამბის მფარევლობა მეფის გამგეობის ქვეშ  
გადევიდა, მეფემ მასვე დ. კეშერაშვილს მიანდო ზედამხე-  
დველობა. აუს მეფობაშიაც რამდენიმე გამოცემა იქმნა,  
ლოცვის წიგნები იპეტებოდა, სამეფო დავთრები, საჭი-  
რო განცხადებები ფურცლებათ, გაზეთის მსგავსად, ესე-  
თი ფურცლები ბეჭდვა ერეკლეს დროსაც ყოფილი, მავ-  
რამ მათ ჩვენ ლრომათ ვერ მოაღწიეს. 1798 წ. ამ სტამ-  
ბაში დაბეჭდილა რაღაც გაზეთის მსგავსი ფურცლები,  
რომელ ფურცლებზედაც მოთავსებული ყოფილი მეფე  
ერეკლეს გლოვა და გიორგის ქება ლექსიდ, ამაგებს გარ-  
და სხვა-და-სხვა ცნობებიც ყოფილი მოთავსებული. ძველ  
კაცებთაგან ამბათ არის დაშთენილი, რომ ასეთი ნაბეჭ-  
დი ფურცლების დრო და დრო გამოცილებული. ამ ფურ-  
ცლებს ბატონიშვილებს და ლილკაციაში არიგებდენო,  
მცირე რიცხვი-კი უბეჭდაეთ. სხვა-და-სხვა საჭირო გან-  
ცხადებათა ბეჭდვა რომ მაშინაც ყოფილა, ამას ამტკი-  
ცებს შემდეგი მაგალითი: XVIII საუკუნის დაწლევს,



რუსეთიდამ საქართველოში ჩამოეიდა დამსახურებულია ფრანგი  
პრივატ მაიორი. გაბრიელ მაიორს განათლება რუსეთში  
მიეღო, იქვე ემსახურნა, სამსახურის გათავების შემდეგ  
თფილისში გადმოსახლებულია, სამშობლოში. საქართვე-  
ლოს დედა ქალაქ თფილისსა და თელავს პირველიდ ამან  
გამართა ქართული წარმოდგენები. ამ წარმოდგენების-  
თვის მას ბილეთები სტამბაში დაუბეჭდია. ერთმა ბილეთ-  
ში ჩეენ დრომდასაც მოაღწია, ზედ ასე აწერია: — „შაური  
ორი, გაბრიელ მაიორი“ ე. ი. ბილეთი ორი შაური. ეს  
გაბრიელ მაიორი ქართველი იყო, დილი ერთგული მე-  
ფისა, 1795 წ. უბეჭურს ომში მან ვაჟკაცურათ იბრძო-  
ლი, მიტომ იგი ცხარე ბრძოლის დროს დაკუშულ იქმ-  
ნა ნაკერ-ნაკერ სპარსოვან. რაც შეეხება ამის წარმო-  
დგენების შესახებ ცნობებს მას ჩეენ სხვაგან დაეწერთ.  
1799 წ. ხსენებულ სტამბაში ბეჭდვა დაწყებინა ლავით  
ბატონიშვილმა, თავისიგან შედგენილის „ნარკევეს“,  
რომელიც 1800 წ. ცალკე წიგნეთ გამოეიდა, ეს „ნარ-  
კევე“ არის შემოკლებული ისტორია სხვა-და-სხვა ტომ-  
თა. შიგვე დაკავშირებულია საქართველოს ისტორიაც.  
1800 წ. რამდენ ნაირიმე განცხადები, სამეცნ დავთ-  
რები, ლექსები და სიტყვები დაიბეჭდი. მეცვე გიორგის  
სიკვდილის შემდეგ, საქართველო რუსეთს ჩაბარდა, ტრაშ-  
ბის საქმეც ცუდათ წავიდა, ამიტომ 1801 წლის ნახევარს  
სტამბა გაუქმდა. მის უურისგდება არაეს უნდოდა, ყვე-  
ლა თავისკენ იწეოდა, ბატონიშვილებსაც გადასახლება  
უხდებოდათ, სტამბის მართვისთვის აღარავის სცალოდა.  
ანტონ კათალიკოზმი დაუწყო სტამბას მფარველობა, ესეც  
დროებითი იყო, ამის მფარველობის დროს ამ სტამბაში  
არა დაბეჭდილა რა. 1804 წ. სტამბის იარაღი და ყო-  
ველისფერი მოწყობილება რუსეთის მთავარ-მართებელს



გარდაეცა. მთავარ-მართებელმა სტამბას ჯეროვანი მიზანული რაღა მიაქცია, მისთვის რუსეთიდამ გამოიწერა ზოგიერთი საქირო რამ იარაღები, ქალალდა, მასთან რუსული ასაკიც და 1805 წ. დაბანილ იქნა ძველი სტამბა. 1805 წლის შემდეგიდამ ამ სტამბაში ქართული წიგნის ბევრი ილარიოფერი დაბაჭდილა რა. იბეჭდებოდენ მხოლოდ ქართული ლოცვის და ანბანის წიგნება, მასთან რუსეთის განცხადებები, საქართველოს მთავარ-მართებლებთა ბრძანებანი, განკარგულებანი და სხვა-და-სხვა დარიგებანი, უკველა ესენი მარტოთ ქართულს ენაზე იბეჭდებოდენ. 1810 წ. ამ სტამბაში გამოიცა ქართული გრამატიკა. მასთან რუსულ-ქართულის „რაზ-ლივორის“ წიგნი, ლოცვანი ანბანითურთ, 1811 წ. დაიბეჭდა ვარლამ არხიეპისკოპოსისაგან შედგენილი საქართველოს სამულებების, ბერების, ეკკლესიების, მონასტრების, მათის მამულების და სხვა-და-სხვა საქმეთა აღწერანი, რომელიც წარდგენილ იქნა საქართველოს მთავარ-მართებელთან, მთავარ-მართებელმა ეს აღწერა და მოსაზრება რუსეთის უწმინდესს სინოდს გაუგზავნა და უმაღლეს მთავრობასაც.

ეს აღწერა ჩვენ ვნახეთ, მასში აწერილია იმ დროის საქართველოს ეკკლესიების და მონასტრების რიცხვი, მღვდლების, მთავრების, დიაკონების, არქიმანდრატების, ეპისკოპოზების, ბერების, მონასტრების, მამულების და მათი შესავალ-გასაელის, თან დართული აქვს რჩევა, რომ თუ მთავრობა აქ ჩამე ცვლილებას დაინახავს საქიროთ, მაშინ კათოლიკოზობა გაუქმდეს და მის მაგიერ განწედეს ეგზარხოსი, როგორც ეს ბოლგარიაში არისო. საქართველოში მყოფ ეპისკოპოზებს დაენიშნოს ამდენ-ამდენი ჯამაგირით. ცვლილება ამ არხიეპისკოპოსის წეს-



დების თანხმათ მოხდა, პირველ ეგზარხოსათაც ეს მანებულები და დარიშნული, ხოლო ანტონ II კათალიკოზი რუსეთს გადაიყვანეს, სადაც იცხოვრა და გარდაიცვალა. 1814 წ. ამ სტამბაში გამოიცა ქართული სახარება მხედრულათ, მცირე ხნის შედეგიდამ სტამბა გაფართოედა, ახალი ასო-ები შეიძინეს და ამ სტამბაში 1817 წ. ქართული გაზეთიც გამოიცა. დღევანდველი კავკასიის მთაეპო-მართებლის სტამბის დრო 1707 წ. მისწვდება, ეს სტამბა იქიდამ არის გადმოკეთებული. ცხადია, რომ დღევანდველ სტამ-ბის საწყობში ბევრი რამ ძველი ნითები და იარღები იქ-მნება დაშთენილი, როგორც ეახტანგ მეფის სტამბის დროის.

ამ სტამბას, 1829 წ. მოეზარა მეორე სტამბა, კერ-ძოთ ქართული წიგნების და ეურნალ-გაზეთების დახა-ბეჭდით. მეორე სტამბა გახსნილი იქმინა ხოლო მონ-შვილისაგან, ბერის ივანე ხელაშვილის საფასით, რომელ ბერიც ბატონიშვილებს გადაჰყეა რუსეთში და იქ საკოვ-რებდა. აქედამ ჩეენ მიუბრუნდებით ისევ XVIII საუკუ-ნეს და ივწერთ იმ სტამბებთა ცნობებს, რაცა-კი ხსენ-ბულს საუკუნეში რუსეთში დაიხსნა, მერე საქართველო-ში დახსნილებს შევეხებით.

ეახტანგ მეფის შვილები მწიგნობარნი იყვნენ, ესენი რუსეთში მოსვენებით სცხოვრობდენ, მათ ძრიალ ეთანა-ღრებოდათ ვული საქართველოს შესახებ. ბაქოში და ვა-ნუშტრიმ განიძრახეს ქართული სტამბის დაარსება. ამის-თვის მათ აიღეს ნება-რთვა, ჩამოასხმევინეს ქართული ასოების ყალიბები, ასოები და 1734 წ. სტამბა გა-ხსნეს მოსკოვის ახლოს, ხოფ. „ვსესვიატკოვში“ სადაც იწყე, ხალმრთო წერილის წიგნების ბეჭდვა და მცირე დროის განმავლობაში რამდენიმე ნაირი წიგნიც აღმერდეს.



ამავე დროს, რუსეთის ეკკლესიის წინაშე მსამართული იოსებ სამებელი, ეპისკოპოსი, კაცი მწიგნობარი, სამღრთო წერილის კარგათ მცოდნე. მაღალის ენტრიგით დაჯილდოვებული, მას დიდი სიყვარული ჰქონდა საქართველოს და ქართულის მწიგნობრობის, მას დიდით კატრებოდა, რომ საქართველოშიაც აღმართინებულიყო საჭირო წიგნების ბეჭედის ოსტატობა იმ კვალათვე, როგორც ეს მის დროს რუსეთში იყო. ამის ნატრანტინივე ჰქონდა, მიტომ იგი შეუდგა სამზადისს, რასაც ჯამაგირს იღებდა, იქიდან მონარქებს ქართულის სტამბისთვის ინახედა. ამ საქმისთვის დიდით იშრომა და უკანასკნელ მოახერხა მოსკოვში გადასვლა, იქ ვახტანგ მეფის შეილებთან დაბლოვება და სტამბის გახსნაზე ცდა. ამ საქმეში ბატონი-შვილებმაც გარუჩირეს თანაგრძნობა. ბაქარ ბატონი-შვილისიგან ჩამოსხმეულ ყალიბებით ჩამოასხმევინა ქართული საჭირო ასოები, შეიძინა ორი სტანკი და 1735 წ. მოსკოვში, ბაქარ ბატონი-შვილის სახლში, უწმინდესის სინოდის ლოცვა-კურთხევით, გახსნა ქართული სტამბა, სტამბაში მოთავსებული იყო ხუცური და მხედრული ასოები.

ეიდრე სტამბას გახსნიდა, მინამ იოსებ სამებელის წიგნების ბეჭედის გეგმა შეედგინა. პირველ საბეჭდ წიგნად „დაბადება“ დაენიშნა. ამ აზრისავე იყო ბაქარი და ვახტანგი. როგორც იოსებ სამებელს ესწორებინა ქართული „დაბადება“ რუსულ და ბერძნულ „დაბადებასთან“ ისევე ვახტანგის და ბაქარის ემუშავნათ „დაბადების“ შესწორებაზე. შემდეგ ამათ ორივ შრომა ერთად შეაერთეს. იოსებ სამებელმა საქმე ისე მოაწყო, რომ ბაქარის მიერ დაფუძნებულ სტამბაც თავის სტამბას შეუერთა და ამ სტამბაში მათ იწყეს ქართულ-ხუცურ და მხედრულ



წიგნების ბეჭდვა. სტამბის ზედამხელველებათ ანტომუშავია  
კებათ დანიშნულ იქნენ: ხუცეს-მონაზონი ქრისტეფორე  
გურამიშვილი ჰ მღვდელი ფილიპე, ეს ფილიპე იმერელი  
იყო, მოსკოვში მსახურებდა მღვდლიად, 1750 წ. დაქვრი-  
ვებულა, იოსებ სამებელთან უმსახურნიია, შემდევ საქარ-  
თველოში მოსულა, ანტონ პროველს გპისკოპოზათ უკურ-  
თხებია, ხოთის კათედრაზე დაუნიშნავს, ოსმალთ აოხრე-  
ბის მეოხებით ეს კათედრა გაუქმდა, ფილიპეც ჩუსეთში  
გარდასახლდა, იქ გარდაიცვალა. ამ სტამბაშივე მოღვა-  
წეობდა დავით მღვდელი. ზედამხელველათ დანიშნულ  
იქნა ვახტანგ მეფის მდიგნათ ყოფილი მელიქსელევკ აბე-  
ლისშვილი კავკასიონე. სტამბის გახსნაში თავის საფასით  
დიდათ ებმარებოდა ხუცეს-მონაზონი ქრისტეფორე გურა-  
მისშვილი.

1735 წ. დაარსებულს სტამბაში, წიგნების ბეჭდვა  
მხოლოდ 1736 წ. დაიწყეს. ხუცეს-მონაზონ ქრისტეფო-  
რე გურამიშვილმა თავის შრომათ გამოსცა შემდეგი წი-  
გნები: მარხვანი, ზატიკი და ანბანის წიგნი. ეს  
მღვდელი ქრისტეფორე გურამიშვილი ყოფილია მარ-  
ჯენია ხელი იოსებ სამებელისა. ამ სტამბის დაარსე-  
ბის ისტორიას აი რაგვარ მოგვითხრობს თეთ დამაარსე-  
ბელოვე კალამი: — „ოდეს იშერთხდა და განაგებდა კეთილდად  
გამგებელი, კეთილ-მორწმუნე და თეთ მშერთხედი სრულიად  
რესეთისა დიდი სეღმწიფე იმპერატრიცა ანნა იოანესია, მას  
უაშესა იგულისმოდგინა უკავებდ სანატრელმან არქიეპისკოპოს-  
მან კლადუქისმან და ანსიმანდრიტმან ურევისმან, კართა მდი-  
ნან მწიგნითართ უხუცესის ქოუდის თმაზის ძემან, სამე-  
ბელმან იოსებ და მიბრძანა მე, უოვდად უდირსსა გურამის-  
შვილს მღვდელ-მონაზონს ქრისტეფორეს, სტამბის გამე-  
ოქანა და გავაკეთებინეთ დიდის გულს მოდგინებით და წარგა-



ბითა საფასითა მისითა, და დაიბეჭდა დავითნი, ზატექა და  
სასარება.“ ამ ცნობილან სჩინს, რომ ქართული სტამბის  
დაარსების ნატვრა ქართველთ გარდა ორს უცხო ტომის  
სასულიერო პირთაც დიდად სურვებიათ. ამათ შემდეგ ამავე  
სტამბაში გამოუცია სხვა-და-სხვა წიგნები ქრისტეფორე  
გურამის შეილს. იმავ ლროს, კახეთის მეფის არჩილის  
ასულის კარის დეკანის გიორგი ლამბარიშვილს დაუბეჭ-  
დია „მარხვანი“. ამის გასწორებაზე ამათაც დიდათ უმუ-  
შაკიათ. ამაზე ი რას სწერს თვით დამბეჭდი: — „მაღალი  
ღვთასითა, კიშრომეთ და კალგაზეთ წმინდისა ამის „მარხვა-  
ნისა“ მე, უღირსმან ქრისტეფორემ, კახეთის მეფის არჩილის  
კარის დეკანოზმან გიორგი ლამბარიშვილმა და სხვითა ვიგონ  
მოწმობითა და შეწევნითა მოვიღეთ რუსელი „მარხვანი“ და  
თთხი ჩვენის ენისა, და როგორც რუსელ „ტიბიკონს“ და  
რაგი უჩნდა ისე იმ რუსელ „მარხვანზე“ კასწორეთ და ისე  
შეკრიბეთ ნუსხითა“. შემდეგ მოთხრობილია, რომ რაც  
ჩვენში აკლდა იმას რუსულით გიორგი ლამბარიშვილი  
სთარგმნიდა და მით ვავსებდით, ასეთი შევსებული და-  
ებეჭდეოთ. ჩვენ, თფილისში, დაბეჭდილი „მარხვანის“  
გვევავოთ. ეს მარხვანი მეორეთაც დაბეჭდეს 1741 წ. ამა-  
ვე წელს იოსებ სამებელმა დააწყებინა ბეჭდვა ქართულის  
„დაბალებისა“ ერცელის ზომის, ამის შემუშავებაზე დიდი  
შრომა მიუძღვისთ ეახუშტის, ბაქარს და ნამეტურ იოსებ  
სამებელს, გამოსაცემი ხარჯი თვით ამისი იყო. ეს „და-  
ბალება“ დამთავრდა და გამოიცა 1743 წ. გაზოცემის  
ბოლოში ეახუშტის წერილი აქვს მოთავსებული, იგი  
მოვეოთხრობს „დაბალების“ გასწორების, შეცდომების  
სწორების და ბეჭდეის ისტორიას. „დაბალების“ შემდეგ  
ზოგიც სხვა წიგნები გამოიცენ განმეორებით. ყველა ამ  
წიგნებს სწრაფათ გზავნიდნენ საქართველოში და აკრც-



ლეგბდნენ სამლელოებაში. ამთაბაში მოახლოვდა 1755 წელი წლები, იოსებ სამებელი საქართველოში პირებდა გაღმოსელას და თან სტამბის გაღმოტანასაც, მავრამ ეს მას ვერ მოუხდა, იგი გარდაიცვალა 1750 წ. და ყოველივე მისი აზრები ჩაფუშულ იქნა. უნდა ვსტკეათ, რომ იოსებ სამებელს რომ თფილისში თავის სტამბა გაღმოეტანა, მაშინ აქ ძრიელ ბევრი წიგნები დაიბეჭდებოდენ. იგი სტამბა მდიდარი იყო და მეორე თვით იოსები და მისი მომხრენიც გამოცდილი იყვნენ წიგნების ბეჭდვაში. სამკლესიო წიგნებს გარდა იგინი უსათუოდ საერო წიგნების ბეჭდვასაც დაიწყებდენ. თფილისში მაშინ ეს მეორე ქართული სტამბა იქნებოდა, მავრამ ეს ვერ მოხერხდა.

იოსებ სამებელი თავადისშეილთაგანი იყო, ვეარა ქობულაშვილი, თავის ღროს კვალათ საკმარისად განათლებული, მცოდნე რუსულის, სლავიანურის და ბერძნულის ენების. იოსებ სამებელის სტამბა დარჩა მოსკოვს სამუდამოთ. მის ჰედამხედველობა ბაქარ ბატონიშვილს და რამდენიმეც სხვა მღვდელ-მთავრებს ებართ. იოსებ სამებელის სიკედილის შემდეგ იქ შესწყდა წიგნების ბეჭდვა. 1755 წ. ტფილისიდან განდევნებს რჩესეთს ანტონ საქართველოს კათალიკოზი. ეს მივიდა რუსეთის კაზი სადმი, უკანასკნელ დღი დანიშულ იქმნა ვლადიმერის და იეროპოლის ეპისკოპოზთ. ამან იმეცადინა და 1759 წ. იოსებ სამებელის სტამბა ვლადიმერს გადაატვინა, დაძინებული სტამბა იქ გააღვიძა, იქ გამართა და 1760 წ. წიგნების ბეჭდვაც დაიწყო. სხვათა შორის გამოსცა „ბლდე სარწმუნოებისა“ ვახუშტის ნათარგმნი. „თვენი“ მეორეთ. ქართულ-რუსულ-ლათინურ-ბერძნულ ანბანი და ზოგიც სხვა წიგნები. ანტონის საქართველოში დაბრუნების შე-



მდევ ეს სტამბა დახურულ იქმნა. ონტონის სტამბაში გარდა 1761 წ. მოსკოვში მეორე სტამბა გახსნა ტფილელ მიტროპოლიტ ათანასე ამილახვარმა. ეს ათანასე 1759 წ. მეფე ერეკლესაგან რუსეთში ელჩათ იქმნა გაგზავნილი, ეს თანამომხრე იყო ვახტანგის თჯახის და წინააღმდეგი ერეკლესი, ამიტომ რუსეთიდან აღარ დაბრუნდა, რუსის ქვეშვრიდომობა მიიღო. მეფე ერეკლემ რუსის მთავრობას ორჯელ სთხოვა ამ მიტროპოლიტის დაბრუნება, მაგრამ საქმე ვერ მოხერხდა. ამან თავის სტამბაში გამოსცა შემდეგი წიგნები: სიმოციქულო, დავითი, ლოცვანი, ქამნი, დაუჯდომელი და 1767 წ. „პარაკლისი“ და ანბანის წიგნები. ონტონ კათალიკოზის საქართველოში დაბრუნების შემდეგ ვლალიმერის სტამბაც ამ ათანასემ შეიძინა, მოსკოვს გადაატანინა და თავის სტამბას შეუერთა. ამისევ დროს დაიბეჭდნენ რამდენიმე საერთ ლექსნი და იამბიკოები ბაქარ ბატონისშვილისა. ათანასე მიტროპოლიტი გარდაიცვალა 1774 წ. და დასაცლავდა დონის მონასტერს. ამის შემდეგ სტამბა კარგახანს არსებობდა, იქ სხვა-და-სხვა წერილი სასულიერო წიგნები იბეჭდებოდა. უკანასკნელ ყველა ეს სასტამბო იარაღები და ნივთები მოსკოვის უწმინდესის სინოდის საკუთრებად გახდა, საქართველოს რუსეთთან დაკავშირების შემდეგ ქართული სასულიერო წიგნების ბეჭდვა მოსკოვს გადიტანეს, ეს ძველი სტამბა განაახლეს და იქ დაიწყეს ბეჭდვა. მოსკოვში ქართული სასულიერო წიგნების ბეჭდვა გაგრძელდა 1860 წლებამდის. ამ დროთა სტამბის მმართველთ მოლვაწეობა იქამდეს უფერულია, რომ მასზე საუბარი ჩვენ აქ მეტად მიგვაჩინია.

XVIII საუკუნის ნახევრიდან, რუსეთში, ქართველთ სამძღვდელოებამ ერთობ ხშირათ იწყეს გამგზავრება, ხსე-



ნებულ საუკუნის მესამე ნახევრამდის, ქართველობრივი ურთისესობის მოსკოვი შედგენდა, შეძლევ კი მათ პეტერბურგშიაც იჩინეს თავი, ნამეზურ ეკატერინა იმპერატრიცა მეორეს დროიდან. სხვათა მრავალია შეარს, პეტერბურგში იმ დროს, სცხავრებდა ქართველი ეპასკოპისა, გრიგოლ ხარტაშნელი. იმანაც იღვაწა და 1786 წ. პეტერბურგში გახსნა ქართული სტამბა, სადაც სხვათა შორის 1789 წ. დაბეჭდა ქართული სახარება. სხვა წიგნების ბეჭდვაც ჰქონია ამ ეპასკოპიზა დაწყობილი, ძაგრამ დამთავრება ველაზ შესძლებია. მის შემდეგ ეს სტამბა მაითვისა გარღამ არხიერესკონიშმა, საქართველოში პირკელ ქართველთ ეგზარხოსათ ყაფილია, სტამბა განახლა და განავრცო. აქ დაბეჭდა მან ქართული „ოვენი“ სახარების ასსა და ზოგიც სხვა წიგნები. 1815 წ. იქე დაიბეჭდა ლექსიდ: „ქეთევან დედოფლის წამება“. შედაცნ-ლი დიმიტრი ბაგრატოვანისა, 1812 წ. რუსთა ლაშენის მხედარ მთავრის ბაგრატოვანის ძის. ვარლამ ეგზარხოსად ყოფილი პეტერბურგის ქართული სტამბის გახსნის საქმეს ასეთის ქახრუხაულის ლექს ს კილოთი შეამკობა:

„ლეთის შეტევნითა, ზესთა ზენითა,  
მოსკოვს შემხადდა სტამბა ქართული,  
ქსნის ერისთვისა, დავითის ძისა,  
ვარლამ ლვაწლი კმა გამართული.  
ვინ იყო ძველად, ახტალის მწყემსლად,  
აწ რუსთა სინოდის წევრათ შართული,  
გიძლენს თ იკერთა, ამერ იმერთა,  
წიკნს დღესასწაულ მბეჭდველი სრული,  
მასთან იონა, ვინ არ იონა,  
შრომის მოყვარე ცენზორობითა; \*  
მიტროპოლიტმან გამშირჯ-გამჭვრეტმან,  
გელეონის ძემ ძველ გვარობითა

ნიკიფორითა მკითხეს სწორითა,  
იგულს მოდგინეს საქმარობითა,  
კეთილ შობილმან პაიჭაძემან,  
მესტამბეჭ ყოვლით სახმარობითა.

ამ სტამბის გახსნით იწყება საფუძველი პეტერბურგ-  
ში ქართულის სტამბის გაძლიერებისა, თეთო სამეცნიერო  
აკადემიის სტამბის ნიადაგის განმტკიცებაც ამას მიეწერება,  
რომელ სამეცნიერო აკადემიის სტამბაშიაც ბროსებ  
და ჩუბინაშვილმა გამოსცეს 1840—1863 წლებამდე „ქარ-  
თლის ცხოვრება“ ვახუშტის გეოგრაფია, ქართულ-რუ-  
სულ-ფრანგული სლავარი, ქრისტომატიები, ოთხ შავ-  
თელის „საპასქო ცხრილი“ „ვეფხის-ტყაოსანი“ რამდენ-  
ჯერმე, „სიბრძნე სიცრუე“ ქართული გრამატიკები, „ჩონ-  
გური“ ლექსთა კრება კ. ლორთქიფანიძისაგან 1865 წ.  
და 1869 წ. „კაცია აღმიანი“ ილ. ჭავჭავაძისა და რა-  
მდენიმეც სხვა წიგნები. უნდა ესთქვათ, რომ მოსკოვის  
ქართული ასოები და პეტერბურგისა ერთმანერთისაგან  
დიდათ განირჩევიან. პეტერბურგის უფრო მოსაწონია,  
მის ყალიბები XIX საუკუნეშია შედგენილი და მოს-  
კოვისა კი ძველით. დღევანდველ ჩვენ აკადემიურ ასოე-  
ბის ყალიბებს ნათესავობა 1712 წ. თბილისში გამო-  
ცემულს „ვეფხის-ტყაოსანის“ ასოების ყალიბებთან აქვს.  
მოსკოვის კი მეტათ განკერძოებულის თვისებისა არის,  
მათ რამდენიმე ქართველთ სასულიერო წოდების პირთა  
სახის ბეჭედი ატყვია. ეს უფრო რთული სამხერ საკით-  
ხია, პეტერბურგის კი მეტათ მარტივი, კოსტა, ნამეტურ  
წვნიკი ასოებია. პეტერბურგის სტამბაში პაიჭაძეს შემდეგ  
მეტათ მცდელი ხელოსანი ყოფილია მესტამბეჭაბიძე, რუსეთ-  
ში მყოფ ყველა ბატონიშვილების მომსწრე. ჩაუ-კი პეტერ-  
ბურგს ან მოსკოვს XIX საუკუნეში ხუცური და მხედ-



რული წიგნები დაბეჭდი, სულ ამ ამომწყობლის ამო-  
წყობილი ყოფილა. 1841 წ. გამოცემულს „ვეფხის ტყა-  
ოსნის“ ბოლოზე მარი ბროსესაგან მიპერადილია შემდე-  
გი ტაქტი, სადაც მოიხსენებენ ტაბიძეს ასე:

„სეიმონ მესტაშე ტაბიძე, ბეჭდვაზე იყო მცდელია,  
დავპერადეთ წიგნი აწ ახლად, განახლდა ძველის-ძველია“.  
და სხვანი. ზემოხსენებულ სტამბებს გარდა რუსეთში,  
კრემენჩუგსაც გამოიცა ქართული წიგნები. აქ ვიტყვით  
ამაზეც მცირედ.

XVIII საუკ. ბოლოს, საქართველოს რუსეთთან და-  
კავშირების ხანა უკვე ახლოვდებოდა. ამისთვის გამარ-  
თული იყო მიწყრ-მოწყრა. ორივე მხარეში საჭირონი  
იყვნენ რუსულ-ქართულ ენების კარგად მცოდნე პირე-  
ბი. ერთი ასეთაგანია გაიოს ნაცვლიშვილი, მოწაფე ან-  
ტონ კათალიკოზისა, რომელმაც სწავლა მოსკოვის აკა-  
დემიაში დამთავრა 1768 წ. შემდეგ საქართველოში და-  
ბრუნდა და 1781 წ. თელავის სემინარიის რექტორ თ  
იქმნა დანიშნული, ამ დროს იგი არქივან-ტრატად იყო.  
მცირე ხნის შემდეგ რუსეთის მთავრობის დავალებით მან  
რექტორობას თავი გაანება და რუსეთში გადასახლდა, იქ  
ეს დიდის პატივით მიიღეს, დანიშნულ იყო უცხო ქვეყა-  
ნათა კოლეგიის ნაწილში ქართული ენის მთარგმნელით.  
შემდეგ გარემოებამ კრემენჩუგს გასტურცნა. იქ ეს ამა-  
ოდ არ დაშთა, იქაუჩს ერთს სტამბაში მოაბოვებინა  
ქართული ახოები და 1793 წ. გამოიცა 1) „ქართული  
გრამატიკა“, 2) 1798 წ. „საცისკრო ლოცვანი“, 3)  
„მცნება ეასილის ბერძნო მეფისა“ და რამდენიმეც სხვა  
წვრილი წიგნები. წერილ წიგნებისამ ჩენ დრომდის ვერ-  
მოაღწიეს. მიხეზი წიგნებთა მცირე რიცხვის ბეჭდვა უნ-  
და ჩიოთვალოს. საქართველოს რუსეთთან დაკავშირების



შემდევ, გაიოს ნაცელი შეილი ეპისკოპოზის ხარისხით  
მოზღვის და ყიზლარის კათედრაზე გადმოიყვარეს. ეს ე-  
ვე განაგებდა ოსეთის სამქალაკებლო კომისიის საქმესაც.  
აქ, ეპისკოპოსობის დროს, ყიზლარშიაც გაუხსნია ქარ-  
თული სტამბა და ორი თუ სამი წიგნი დაუბრედია, ამ  
წიგნების მიპავება ერთობ იშვიათია. პ. უზიკაშვილის  
სრულია, სამეცნიერო აკადემიის წიგნთ-საცავში ინახება  
მხოლოდ ორი წიგნაკი. სხვაგან არსაც არაფერი დაშო-  
ნილია. ამ სტამბის ისტორია ჩვენთვის უცნობათ არის  
დაშონილი, თუმც გაიოსის ცხოვრების შესახებ ნიკო-  
ლოს მთვარელი შეილისაგან საქმარისაც საფუძვლიანი  
მონოკრატია გვაქეს ქართულს მწერლობაში.

რუსეთის სტამბების შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ  
ზემოხსენებულს სტამბებს გარდა პეტერბურგს და მოს-  
კვეს სხვა-და-სხვა უცხო ტოპია სტამბებშიც მოიპოვე-  
ბოდა ქართული ხსოვები, სადაც ქართულს წიგნებს თუმც  
არა ხშირად, მაგრამ ხანდისხან მაინც ბეჭდავდენ. ხსეთი  
იყო ფირალოების, მეფე გიორგის მდინარ ყოფილის, ქარ-  
თული გამოცემანი და ზოგიც სხვა მწიგნობართ ქარ-  
თველთა, მაგრამ ამ სტამბებთა ცნობებს ჩვენ არ ვეხებით,  
რადგანაც მათს არსებობას ჩვენის ისტორიის მასალებთან  
დიდი რამ კავშირი მაინცა და მაინც არა აქცით, ამიტომ აქ  
ამით ვათავებთ საუბარს და გადავდივართ XVIII საუკ.  
იმერეთის სტამბის აღწერაზე. 1709 წ. თფილის ში გახს-  
ნილი სტამბა და ქართული წიგნების საქმე მთელს სა-  
ქართველოში ელვასავებ მოიფინა. იგი მრავალთათვის  
გახდა სარკეთ და საყურადღებოთ, ნამეტურ ყურადღება  
მიაქციეს ბერძენ-იმერთი. დაბეჭდილი წიგნების რიცხვი  
უცბათ იყლაპებოდა. რაც თფილის 1709—1713 წლ.  
წიგნები გამოიცენ, იგი მარტო იმერეთის ერს არ ჰყო-



ფნიუა. მიტოვ მოხდა ხსენებულ წიგნების მეორეულ მეტების მე, მეოთხე და მეხუთე გამოცემა-კი საქართველოს გარეშე მოსულვს და პეტერბურგსაც. წიგნების დატი მოთხოვნილება ისმოდა, წიგნები-კი მცირე იყო, ერთს თხოვნას ვერ აქმაყაფილებდენ მბეჭდავნი, ქალალდის სიძირის გამო ყოველთვის ცოტას ბეჭდავდენ. ასეთმა გარემოებამ იმჯრო დიდებულია და მცირებულით შორის უადვილესათ გამოარევია ჰაზრი და ნატვრა იმერეთში სტამბის დაარსების და წიგნების ბეჭდვის, ამისთვის იმერთა თფალისში გამართეს მიწერ-მოწერა. იგინი თფალისის სტამბის გამგეთ სთხოვდენ საქმის მოწყობაში მხოლოდ ხელის შეწყაბას. თუ რამ სტამბის იარაღი გაქვსთ მეტი, შეგველაშე და დაგვითმეთო. მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, საბეჭდი სტანციი რუსეთიდან მოიტანეს, ხუცური და ხელული ასოები-კი თფალისში ჩამოასხმევინეს. ბეჭრის შრომის შემდეგ, 1785 წლებში, ქ. ქუთაისს გაიხსნა უკავი პირველი ქართული სტამბა. სტამბა მოაწყო თფალისდამ წისულმა რომანოზ ზუბაშვილმა, სტამბის კარგმა ხელოსანმა, ვალახრიდამ მოსულ ოსტატებთაგან განსწავლულმა. ამ ხელოსანმა ამოწყობაც იყოდა და ბეჭდვაც. სტამბის მართვის საქმეში დიდის ენერგიით აღმოსჩინდა გენატის არქიმანდრიტი ზიქარია. ხელოსნობაში, ზუბაშვილის მარჯვენა ხელი ეს არქიმანდრიტი ყოფილა, ამასვე უსწორებია წიგნები დასაბეჭდათ, კორექტორიც ეს ყოფილა. მხნე ოსტატმა სტამბის გახსნის უმაღლ რამდენსამც იმერთ ახალგაზრდებს აწყაბა და ბეჭდვა შეასწავლა. მალე ამოწყობა და ბეჭდვაც დაიწყეს, 1787 წელს უკვე გამოიცა პირველი იმერეთში ქართული წიგნი, შემდეგ პირველის სხვა-და-სხვა წიგნებიც აღიბეჭდენ, ყველა გამოცემის შედაპირზე დაბეჭდილია მოხსენება იმერ-



თა შეფისა და კათალიკოზისა ისევე, როგორც ეს ფოფქიმული ლისში იქმნა შემოღებული თვით ვახტარგ მეცენატის დრო-  
დან. ლოცვაში, ყკლესიაში მოსახსენებლათ, თავის  
ალაგას მოიხსენებიან მეფე, მათა უახლოესი ნათესავი და  
კათალიკოზი. საეკკლესიუ წიგნებს გარდა XVIII საუკ-  
დამლევამდე რამდენჯერმე ქართული ანბანის წიგნაკებიც  
დაუბეჭდავთ ლოცვებით.

იმერეთის სტამბის და წიგნების ბეჭდვის ცნობები  
მალე მოიფინა სამეგრელოს მთავრებს და ერს შორის,  
გურიაში, სვანეთში და სხვა ისეთ დაშორებულ კუთხე-  
ებშიაც. მაგალითის მიბაძვის უკელანი პირებიდნ, ამით  
ბაში მოახლოვდა XIX საუკ. დასაწყისი და მას თან შო-  
ჰევა სხვა-და-სხვა შინაური და გარეული ცვლილებანი,  
რამაც ზემოხსენებულ მთავრებს ხელიდამ გამოიცალა მი-  
მბაძაობის პაზროვნება. იმერეთში, ქართული სტამბა აღ-  
რიდვანე გაიხსნებოდა, რაუგანაც ამის საჭიროებას იმე-  
რთა დიდებულნი, როგორც ზემოთ ესთქვათ, XVIII საუკ.  
დასაწყისიდამვე გრძნობიდენ, მაგრამ ეს მათ ვერ უხერ-  
ხდებოდათ, რადგანაც იმერეთშედ სასტკათ მძლავრობ-  
დენ მცრები, მათ ხანებში უძლურის სპარსულისაგან იმუ-  
ნი ვაება ქართლსა და კახეთს არ ადგა, რაც ძრიელის  
ოსმალეთსაგან იმერეთს. შედარებასაც ვერ გავძედათ,  
აღა-მამად-ხანი რომ 1795 წ. იმერეთს დასცემოდა, მე  
ტარწმუნებული ვარ, რომ მაშინ ეს უძლურინი ვერას ვა-  
ძებულებდენ, იმერნი შთლათ დაულიერდენ მათ, მკონი ერ-  
თი სპარსიც ვერ წასულიყო აქედამ ცოცხალი, მაგრამ  
მათ ეს ასე არ მოუხდათ, მათ გაილაშქრეს უძლურს  
ქართლზედ, სადაც 80 წლის მოხუცი მეფე მეფობდა და  
მისი მძიმე და ბერულის მიმართულების ბევრის ჭამია გი-  
ორები. თამამათ ეიტყვით, რომ იმერეთ მძლავრის ოსმა-




ლის დაშოშმინების და მურჩილებას მეოხებით იმრთლობის  
საქმეები ჰქონდათ, რამ მათ სტამბის და მწიგნობრობის  
პატრონობისთვის სრულიად ოღარუფერი დრო ჰქონდათ,  
რომ ეზრუნათ. როგორც კი მოიპოვეს მათ მარჯვე დრო,  
აյი მაშინათვე მავწყვნენ სტამბის საქმეს.

რაღვანაც სტამბის არსებობა, ხარჯი და წიგნების  
ბეჭდვა დიდს ძალას იქნოვდა, ამიტომ მეფე სოლომო-  
ნის ბრძანებით სტამბის ზედამხედველ პატრონით და გამ-  
გეთ დაინიშნა სარდალი ზურაბ წერეთელი. რამდენიმე  
წნის შემდეგ, იმერეთში უაში გაჩნდა, ამის მიზეზით სტამ-  
ბა რაჭაში გაიღირანეს, სოფელს წესს და იქ გამართეს და  
წიგნები ბეჭდეს. მაგალითებრ ქუთაისში სოფროს ეპის-  
კოპოზისაგან დაწყობილ „სადღესასწაულოს“ ბეჭდვა  
წესს დაუმთავრებია ზურაბ წერეთელს 1811 წ. ამავე  
სოფელში დაუბეჭდავთ „დაუკავშირი დეთასმისას“  
და ზოგიც სხვა წიგნები. რუსთავის იმერეთის დამორჩი-  
ლების შემდეგ სტამბა მაინც არ მოსპობილა, ზურაბ წე-  
რეთელს თავის მამულს საჩერებში გადუტანია და იქ უბე-  
ჭდავს წიგნები. მაგალითებრ საჩერებში გამოუყით „სა-  
ხარება“ 1817 წ. სახარების ბოლოს მიბეჭდილია შემდე-  
გი ცობა: — „უფადნო და მმანო, მომისსენეთ მე მდაბადი  
და უდინსი არხამანდრიტი გაენათისა, ცოდვიდი ზაქარია,  
რომელმან ფრიად შრომა თავს კიდევ წმიდა ამის სახარები-  
სათვის და მრავლითა ღვაწლათა აღკასრულე“ პირელ გვერ-  
დზედ მიბეჭდილია შემდეგი: — „დაბეჭდა ესე სადმოო სახა-  
რება საჩერებს, სასახლესა სახლთხუცის წერეთდისას“ ქ.  
ქუთაისა, 1807 წ. დაბეჭდილს „დავითნზე“ მიწერილია  
შემდეგი: — „დაბეჭდა ღვთავ სულიერი წიგნი ეს ფიალმუნ-  
თა სამეფოსა ქადაქსა ქუთაისს, პალატსა სამეფოსა უხვეუ-  
სობისა თავადის სახლთუხუცესის ზურაბ წერეთდისათა, ხე-



ლითა მესტამბე რაზმაძე რომანის „ზურაბიშვილისთა წევდება“  
გებელი და ზედამხედველი სტამბისა ასის მდაცლა არსიმან-  
დორი ზაქარია, ფრად მშრომელი მუმაკობითა კილოტავა,  
რათა მოშიხსენებდეთ“. აქ მოხსენებულ მესტამბე ზურაბის-  
შვილს ზოგს წიგნებზე ზუგაშვილით მოიხსენებენ, ნამე-  
ტურ თფილისში დაბეჭდილს წიგნებზე. ამ ზუგაშვილს  
გარდა იმერეთის სტამბაში სხვა იმომზუყობნი და მბეჭდავ-  
ნიც ყოფილია, ხოლო მათი ვინაობის ჩვენ არაფერი ვი-  
ცით. როგორც სჩატს, ეს სტამბა 1820 წლების შემ-  
დეგ დახურულა. საზღადოდ კი უნდა ვსოდეთ, რომ  
იმერეთის სტამბის ცატორიის „გესახებ ჩვენ ერთობ მცი-  
რე მასალები გეაქვს.

ზემოთ, ტფილისის სტამბების საუბარში ჩვენ ს.  
ლოდაშვილის სტამბის მოხსენებაზე შევჩერდით. უნდა  
მოგახსენოთ, რომ XIX საუკ. დამდევილან ტფილისში,  
ერთი სტამბა არსებობდა, ჩვენის მეფეების დროიდან და-  
შთენილი. ამ სტამბაში ქართული წიგნებიც იბეჭდებოდა,  
თუმც იშეითად. 1814 წ. გამოიცა ქართული სახარება  
და პატარი წიგნები. 1829 წ. გახსნილ ს. ლოდაშვილის  
სტამბამ დიდხანს უერ გახდა, ამ სტამბაზე 5000 შან.  
ფული დაიხარჯა „ლვიულ-მონ-ზონ ივანე ხელაშვილისა.  
დამაარსებელთ დიდი სამზადისი ჰქონდათ, ამ სტამბაში  
უნდა აღმეცდილიყვანენ ყველა საჭირო სახელმძღვანელო  
წიგნები, ის წიგნება, რაც კი 1817 წ. გახსნილ სემენა-  
რიაში იქმნებოდა სახარებლიდ საჭირო და ისევ იმ  
დროის „კეთილშობილთ სასწავლებელში“. ამავე სტამ-  
ბაში გამოიცა გაზეთი „რევილის უნიკა“ 1829 წ. და  
თვითური უუნალი 1832 წ. ამ წლის მეოთხე თვეს მო-  
სპობილ იქმნა ეს სტამბა და მას გამგე-პატრონი რუსეთში  
გარდასახლებული სამუდამოდ, იგი რუსეთიდან საქარ-



თველოში ვეღარ დაბრუნდა. ამ სტამბის შემდგარებულის შემდგარებულის შემდგარების გაიხსნა სხვა სტამბა, აშტარხანელ სომხების ძმათა არზანოვების, სადაც ქართული ასოებიც მოათავსეს, ამ სტამბაში 3. იოსელიანმა დაბეჭდა შავთველის და ჩახრუხაძის პოემები. ეს სტამბაც მცირე ხანს დაშთა. აქანდა ესთქვათ შემდეგი: ხსენებული სტამბის პატრონნი სომები იყვნენ.

საქართველოში პირველიც ამ სტამბაში დაიბეჭდა სომხური წიგნი, ესე იგი 1833 წ. მინამდის საქართველოში სომხური წიგნების ბეჭდების ხაქმა კი არა, ხსენებაც კი ჭავჭანებათ არ ყოფილი. პირველი მაგალითი იყო ეს, მათ დასტამბეს სომხური ლოცვის წიგნები და ბასწავლებელი წიგნები, სხვათა შორის მათ დაბეჭდეს „ჩერსესის ლორგებაზ“ ქართულის ასოებით, ხოლო სომხურის ხატყვებით, რათა ამით იმ დროის საქართველოს ქართველ გვარის სომხებში სომხური ენა უადვილესათ განევრცოთ. ამით იგინი არ შეცდნენ, მათ ბრწყინვალე დარი დაუდგათ, საქართველოში აღ-დგინეს სომხური ენა, რაც შეეხება წიგნების ბეჭდვას, ესეც ხომ ყველასთვის ცხადია, ვვონებთ საუბარი და მტკაცება არავის მოუნდება, ყველაფერი თვალით სჩანს, თუ ჩვენ ქართველთ დაკვირვება და შედარება გვექმნება. ქართული ბეჭდვის ისტორია საქართველოში 1707 წ. იწყება და სომხებისა 1833 წ. აბა ახლა ჩვენი დღევანდელი ბეჭდვის ხაქმა მათხას შევადაროთ, მათი ჩვენზე ბევრათ ბევრი გამოვა. ზემო ხსენებული სტამბის დახურვის უმაღლ შეძენილ იქმნა იმ დროის სომეხთ ნერსესიანის სემენარიისაგან, რომელ სემენარიაც პირველიც გაიხსნა საქართველოში 1830 წ. ამ დრომდის, საქართველოში არამც თუ სომეხთ სემენარიის ხსენება, არამედ უბრალო სამრევლო სასწაულებლის ჭარბობის წიგნი.



ქანებაც კი არსად იყო. მაგრამ აბა დღევანდელ პეტერების შეკითხეთ ამის შესახებ, თქვენ ნახავთ იგინი ჩა პასუხს მოგცემენ: ანი ქალაქის კედლები ლამის მცხეთას აღაფონ, ჰაოსის საფლავსაც ტფილისში სძებნიან. მიტომაც გადა- აკეთეს ქართულ დედა-ქალაქ ტფილისის სახელი—ტფი- სად და ახალციხე —ახსიხათ.(!)

სხვნებულს სემენარიის სტამბაშიაც იყო მოთავსე- ბული ქართული ასოები, აქაც ბეჭედივდნენ ქართულს ენაზე სხვა-და-სხვა განცხადებებს, ქართული წიგნები კი არა დაჩეკდილა-რა, ერთავად სომხურს წიგნებს ბეჭედი- დნენ. ამ სტამბამ ჩაუსდა საქართველოს სომხობას სული, თორემ მინამდის სომხები საქართველოში ცარიელ ჩონჩხს წარმოადგენდნენ. 1845 წ. ეს სტამბაც მოისპო. 1846 წ. საქართველოში მოვიდა ვორონცოვი. 1850 წლებში, ქართველი შორის ასტყუდა საუბარი ქართულის დრო- გამა-შვებითი გამოცემის შესახებ. გამოცემას მრავალნი ნატრობდნენ. ვორონცოვმა მალე დართო თვითური „ცის- კრის“ გამოცემის ნებართვა. 1852 წ. გ. ერისთავის ოე- დაქტორობით „ცისკარმა“ იწყო გამოსვლა. უურნალის გამოსაცემად ოედაქტორმა ჩუქებით სტამბის იარალიც შეი- ძინა იმ დროის მთავარ-მართებლის სტამბიდან, „ცისკრის“ დაწყებისთანავე სტამბაც გახსნა, მაგრამ „ცისკარი“ 1854 წ. ბოლოს მოსპო და 1855 წ. სტამბაც დასურა. 1856 წ. „ცისკარი“ ივ. კერესელიძემ განაახლა, სტამბაც ნისიათ იყიდა 900 გ. 1857 წ. ამ სტამბაში დიწყო „ცისკრის“ გამოცემა. ერთ წელიწადს 300 გ. უნდა მიე- ცა, მეორე წელიწადს 600 გ. მაგრამ ვეღარ მას ცა. გიორგი ერისთავმა სტამბა დაუბეჭდა, „ცისკრის“ გამოცემა ერთ თვეს შეუჩერა! ივ. კერესელიძემ დიდის წვალებით ფუ- ლი იშავნა და გ. ერისთავს ჩაბარა, სტამბა განთავი-



სუფლდა. ისიც კი უნდა ითქვეას, რომ ეს სტამბა გამოიტანა თავს ვორონოვის წყალობით მუქთათ ეჩუქა მთავარ-მართებლის სტამბიდან, სტანკი ხისა ყოფილა, მესამე წელიწადს გატეხილა. მერე სხვა რეინის სტანკი გა-მოუწერია. ამაზე აი რა მიამბო ივ. კერესელიძემ:

„სტამბის შეძენის მესამე წელს სტანკი გამოტყდა, აღარ ვაზოდა, მის ვალისაც 300 მ. გარდასახლილი მქონდა. უურნალი მიჩრდებოდა. ერთ საღამოს ჩემს სახლში დავპატიჟე გრ. ორბელიანი, გ. ერისთავი, გ. მუხრანისკი, ივ. მუხრანისკი და ბევრიც სხვა ქართველი გენარლები. დანიშნულს დროს, ფაიტონი ფაიტონზე გრიალით მოდიოდა, პოლიციასაც მევატყობინე, რომ მგზავრთათვის სახლის გზა ეჩვენებინათ, შეკრების შემდეგ მექათ სტანკის შეძენაში დამარება ვსთხოვე. ეს მათ მომიხერხეს. მალე სტანკი გამოვიწერეთ და სტამბა გა-ნვახლე.“ ივ. კერესელიძემ ამ სტამბაში ბეჭდა „ცის-კარი“ და ცველა თავის გამოცემანი. ეს სტამბა მას კარგა ხანს ეპყრა. 1873 წ. ექვთიმე ივანეს აე ხელაძეს მიჰყიდა, ექ. ხელაძის სტამბა დღესაც არსებოს. ამ სტამბას სა-კიარისი ღვაწლი მიუძლვის ქართულს მწერლობაზე. ამ სტამ-ბაში დაიბეჭდენ ძრიელ ბევრი საისტორიო წიგნები. აქ დაიბეჭდენ ისეთი წიგნებიც, რომელნიც ქართულს მწერ-ლობაში პირველად იქმნენ აღბეჭდილნი. მაგალითებრ: — «ქილიდა და მანა», გამოც. გრიგოლ გურიელისა, ვისრა-მიანია, «ზა მეტყველება» და ბევრიც სხვა წიგნები. ამას ვარდა აქვე იბეჭდებოდენ ქართული ჯრო გამოშვებათი გამოცემანი, განხორცები და უურნალებიც, დღესაც ბევრი წიგნები იბეჭდება ამ სტამბაში.

ბ. ექვთიმე ხელაძის სტამბას ერთი დიდი სამსახუ-რიც მიუძლვის ქართველთა წინაშე, ნამეტურ ქართველ

გამომცემლებთა, რომელთაც კართული წიგნებში აღნიშვნა მოცემია იწყეს 1873 წ. უმდეგილამ. ა ერთა, ოვით მე, ექ. ხელაძის სტამბა რომ არ ყოფილიყო მაშინ, იქმნება წიგნების გამოცემის შონერხებაც ვერ შემძლებოდა, რადგანაც მაშინ თფილისში სულ ოთხი სტამბა იყო, სამს სტამბაში ჩემისთანა ლარიბი კაცი ფეხს ვერ მიღვამდა, რადგანაც უველა ამ სტამბებში წიგნების საბეჭდს ფასს ისე იღებდნენ, როგორც რუსეთის ქალაქებში. ჩვენ, ახლად დამწყობნი ქართულის სახალხო წიგნების პეტენისა, ამა როგორ მოვახერხებდოთ ასეთ ფასების ძლევას, მაგრამ ბ. ექვთ. ხელაძემ წაკვახალისა, ამოწყობას უაბეჭდვას ისეთი ფასები დაადო, სხვა სტამბის საბეჭდს ზომაზე ისე დააპატარავა, რომ ყოველი ჩვენთაგანი ადვილათ პკიდებდნა რამე წეგნის გამოცემას და ბეჭდავდნა. ბ. ექ. ხელაძის მიხედვით შემდეგ სხვა მეტამბეჭდმაც დააკლეს ბეჭდვის ფასებს.

ესე რომ არ მოვხერხებინა ბ. ექ. ხელაძეს, მაშინ ჩვენ, ქართველი გამომცემელნი, ბეჭრს ვერას გავაწყობდით. პირველი: მაშინ საბეჭდი ქალალდიც ძვრი იყო, რასაც მაშინ ოშმას 4 მან. იყიდულობდით, დღეს ის 2 მან. ღირს, გარდა ამისა წიგნების ბეჭდვაც ახალი საქმე იყო, საქართველოში სახალხო წიგნების ბეჭდვა პირველი მავალითი იყო, ჯერ საიმისოდ არა იყიდებოდა-არა, თითო გამოცემა რამდენსამე წელიწიდის ჩემბოდა, რის წვალებით და ვაივაგლასთო ვრცელდებოდა, ზოგი მუქ-თათ რიგდებოდა სოფლებში, ზოგი აქა-იქ ქალაქებში იგზავნებოდა და იქაც იკარგებოდა ისე, რომ გამომცემების ყოველთვის სხვა საქმეებიდამ უნდა ელო ფულები და ახალ-ახალ გამოცემებზე უნდა ეხარჯა, წიგნები კი ხალხში მუქთათ უნდა ერიგებინა, რომ ამის მეოხებით სა-



მერმისოდ ხალხში წიგნების კითხვის სიყვარული და ასეთ  
ძინებულიყო, თუ ეს არა, უ-მისოდ არა გაკეთდებოდა-  
რა. ივით ბ. ექვ. ხელაძეც ბეჭდავდა ქართულს სხვა-და-  
სხვა წიგნებს. იგი დღესაც ბეჭდავს საკუთარს გამოცემაებს.  
მე კარგათ მახსოვეს, რომ 1875 წ. 3. უმავაშვილმა და  
ექ. ხელაძემ, სკეტის-ცხოვლობის დღესასწაულ დღეს  
თფილისიდამ ერთი ტომარა ქართული წიგნები წაიღეს  
გასასყიდათ, მაგრამ იქ სულ 3 მან. ვერ გაეყიდნათ, ისიც  
ნაცნობებს ეყიდნათ. ხალხი მას არ მისდევდა. ასეთი  
იყო მაშინ ჩეენი მწიგნობრობის და გამომცემლობის მდგრ-  
ამარეობის საქმე, ამას რომ ექ. ხელაძის სტამბა არ მო-  
ლენიდა, იგი მაშინ საკმარისად შეფურნებული დაშო-  
ბოდა და იქნება პევრს ეგლარც-კი გამოეცა წიგნი.

ამ სამარიალისოდ მოხავონარ საქმეს გარდა ამ სტამ-  
ბის და მის პატრიარქის ერთი სხვა სამსახურიც მოუძღვის  
ჩეენის ტომის და ნამეტურ სამღვდელოების წინაშე, მა-  
გალისეზ: 1887 წ. თფილისის უმაღლეს სამღვდელო  
პირებთ შორის აღიძრა კრთხვა ქართულის საეკკლესიო  
წიგნების ბეჭდვაზედ, რადგანაც იმ დრომის საეკკლესიო  
წიგნებმა ვეღარ მოაღწიეს, აღრე მოსკოვში დაბეჭდილნი  
ეკკლესიებში ხვარებისაგან გაცვდენ, მთლად დათვხრიწ-  
ნენ. გარდა ამისა ეკკლესიების შენებაც გამრავლდა. საქმე  
კანალამ ისე მოხერხდა, რომ ამ წიგნების ბეჭდვა აღრიჩ-  
დებულიათ მოსკოვში უნდა გადაეტანათ, სადაც ვინ იცის  
რაგეარ და რანაირათ დაბეჭდებოდენ. ეს გარემოება  
ბევრს ეწყინა, განა დღეს ჩეენი სტამბები იმოდენიდ არ  
უნდა იყოს დაჯილდოვებული, რომ თფილისში მოვახრ-  
ხოთ საღმრთო წერილის წიგნების ბეჭდვაო! ეს რასა  
ჰკავსო. მრავალნი უკუღმართნი ისეთ აზრების იყვნენ,  
რომ ვითომც თფილისში ვერ გამოსცემენ ისე, როგორც



მოსკოვსთ. ამ გარემოებას მკაცრათ იღუდვა წილ შექმნა. ხელიდე, რუსეთის სტამბების ფასს საკმარისად დაუკალო და საღმრთო წერილის წიგნების ბეჭდვა მან ითხოვა, ზოგმა ეჭვი განუცხადეს, ვერ გამოსცემო. ამან პირობა მისცა ასე: პირველი—იაფათ დავბეჭდავ, მეორე—იაფილისში უფრო კაი კომისია შესდგება, რომ წიგნების კორექტურა კარგათ შესწორდეს. მესამე—თვით დედნებიც შეიძლება გაუმჯობესდეს და განხილულ იქმნეს მცოდნე პირებთაგან, მეოთხე—ამისთვის მე გირავნობას შემოვიტან სინოდის კანტორის წინაშე, რამ თუ ყოველივე ასე არ აღსრულდეს, თფილისში უფრო უკეთესად არ გამოიცეს ქართული საღმრთო წერილის წიგნები, მაშინ მე ჩემს გირავნობაზე ხელი ივილო, ჯარიმაც გადაიგიხაუო. ბევრის შრომის და სჯის შემდეგ დაადგინეს, რომ ქართული საღმრთო წერილის წიგნების ბეჭდვა თფილისში იქმნეს დაწყობილი და არა მოსკოვს, როგორც ეს მანამდის უნდოდათ ზოგიერთ პირებს.

ამ საქმის წინაშე სამსახურს გარდა ბ. ექ. ხელიდემ ქართველთ ამომწყობლებსაც კაი სამსახური გაუწია, რომ ასეთი დიდი საქმე თფილისში მათ გახავეთებლად გახდა. საღმრთო წერილის წიგნების ამოწყობის და მუშაობის ფული რამდენსამე ხელოსნის ქართველს საყოველ-თავით დაარჩინს ცოლ-ჟვილით. დღეს, ქართულის საღმრთო წერილის საბეჭდ საჩივიდრო ბინათ თფილისის სტამბები ითვლება.

ამისთან ბ. ექ. ხელიდემ ბევრი სოფლელი ყმაწვილებიც დაზარდა, სტამბის ხელობის ცოლნა მათ საუკეთესოდ შეასწავლა. ყველა სტამბებში დღეს ამისიან დასდილი შეგირდები ამშვერებენ თავიანთ საქმეებს და მასთან ქართულ წიგნების ბეჭდვასაც. უნდა ითქვას, რომ ზოგს მათვანს საუკთარი სტამბაც აქვს, თავიანთ საქმეებსაც კარგათ უძლევებიან, ხანდისხან ქართულ წიგნებსაც ბეჭდავენ.

ბ. ექვთიმე ხელაძის სტამბის გახსნამდე ტფილისში არსებობდა ებრაელის დუბელირის სტამბა, მერე ეს სტამბა გიორგი წერეთელმა შეიძინა და „კრებული“ და „და-

ბა“ იქ იბეჭდებოდა. ეს სტამბა გიორგი წერეთლის წელში რამდენსამე ხანს დარჩა, შემდეგ ისევ პატრონის ხელში გადაიღია. მერე ეს სხვამ შეიძინა, ავლაბარში გადაიტანეს და იქა ებეჭდავდით წიგნებს. იმათსავე დროს ტფილისში არსებობდა ეურნალ „მნათობის“ სტამბაც. მაგრამ იგი მცირე ხანს დარჩა.

1860 წლებში ქართველთ თვალი გაახილეს, მასთან მათ საქიროთ დაინახეს „ცისკარს“ გარდა სხვა ეურნალის გამოცემაც, ეურნალისთვის სტამბაც იყო საჭირო, ივ. კერძელიძის სტამბა ჟველას ვერ აკაყოფილებდა, სტამბის გახსნა-კი ძნელი საქმე იყო, ამიტომ 1862 წელს მეტიგნე ეფიანჯიანცის ძმამ თავის სტამბაში ქართული ასოებიც მოათვა, 1863 წ. აქ გამოიცა „საქართველოს მოამბე“. დღეს ეს სტამბა ტ. როტინიანცს ეკუთვნის, სადაც „კვალი“, „ჯეჯილი“ და სხვა და სხვა ქართული წიგნებიც იბეჭდება. „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ ქართველთ გაზეთის გამოცემაზე დაიწყეს თათბირი. გაზეთის გამოსაცემად სტამბაც იყო საჭირო, ამიტომ რამდენიმე კაცი შეიყარა ერთათ: დ. ბაქრაძე, ვ. თულაშვილი, დ. ყიფიანი, სტეფ. მელიქიშვილი და რამდენიმეც სხვა პირნი და 1865 წ. თვითლისში სტამბა გახსნეს, სადაც ქართული ასოებიც მოათვასეს, გაზეთისთვის სულ ახალი ასოები ჩამოასხმევინეს და 1866 წ. მარტადამ „დროების“ ბეჭდევაც დაიწყეს. ამ სტამბაშიაც ბეჭრი წიგნები და ეურნალ გაზეთები იბეჭდებოდა. დღეს ეს სტამბა „ქართველთ წიგნთ გამომცემელს ამხანაგობას“ ეკუთვნის, სადაც დაიბეჭდენ აკავის ნაწერები, ილ. ვიკენიაძისა, ყაზიბეგის, პეტრიაშვილის და ბევრიც სხვების. დღეს „მოამბე“ და „ცნობის ფურცელი“ აქ იბეჭდება.

რაც ნელ-ნელა დრონი მიფრინავდენ, მით დაძნებული ქართველებიც გამოფხილებას ეძლეოდენ, მწერ-



ლობაც შესაფერის სულის და ხორცის ისხავდა, ლიგიან  
მწერლებმაც მრავლათ იწყეს თავის ჩენა, წიგნების ბეჭე-  
ვაც განვითარდა, ამ სისმირეს სტამბის უქონლობა და სა-  
ჭიროებაც თვალ-ხილულათ ემჩერდა. 1884 წლებში,  
თფალისში გაიხსნა ახალი ქართული სტაბა გრ. ჩარკ-  
ვიანის, არ. კალანდაძის და ალ. დრევიჩის. სტამბის მო-  
წყობილება ძევლი იყო, მაგრამ საქვეს მარც უძღვებო-  
დენ. ამ სტამბაში დაიბეჭედა ვახუშტის ისტორია, დიმ.  
ბაქრაძის რედაქტორობით, საბა თრადიციანის ლექსიკონი  
და ბევრიც სხვა წერილი წიგნები. ერთ დროს გაჩერი  
„დროებაც“ იქ იბეჭდებოდა, უკანასკნელ სტამბის საქმე  
აირ-დაირია, ამხანაგებმა კინალამ ერთმანერთი დაჭამეს,  
ერთი წელაწადი დაკეტილი იყო, მერე ესენი მოარიგეს  
დ. ბაქრაძემ, რაფ. ერისთავები, ისა. ბაქრაძე და მე. სტამბა  
ორათ გაიყო: ერთი ნაწილი არს. კალანდაძეს არცუნეს,  
მეორე გ. ჩარკვიანს. უკანასკნელის დღევანდლამდე არ.  
სებობს თფილისში — აქ იბეჭდება სხვა და სხვა ქართული  
წიგნებიც. მეორე ნაწილი დეკანოზმა დავით ლამბაშიძე  
შეიძინა და ქუთაისს გადაიტანა, სადაც დღევანდლამდი-  
საც არსებობს ეს სტამბა. 1891 წლებიდამ კვალად მოე-  
მარტა ერთი ქართული კარგი სტამბა. ეს სტამბა გახსნეს  
მაქსიმე შარაძემ და მისმა უანგარო მუშაკ ამხანაგებმა:  
ესტ. კერესელიძემ, სფ. ლომასაბერიძემ და ვას. გძელიძემ.  
ამ სტამბის გახსნა და მის უანგარო მუშაკთ ძალა მეტა-  
დინებამ დიღი სამსახური გაუწია ჩენს ქართველობას.  
დღეს აქ სტამბაში იბეჭდება აუარებელი ქართული წიგ-  
ნები. აქ იბეჭდება იაკობ გოგებაშვილის წიგნები, ჩემი,  
თვით სტამბის ამხანაგობის და ბევრიც სხვების. აქვე  
იბეჭდება გაზეთი „ივერია“ და ხანდისხან სხვა და სხვა  
დრო გამოცემანც. დღეს თურილისში ოთხი ქართული



სტამბა არსებობს, სადაც ნახევრამდის ქართული წიგნიფრაული  
და საქმეები იბეჭდება. უნდა ესოქვათ, რომ დღეს პლუ-  
ეს სტამბები ჰყოფნის ქართველთ და ამ სტამბებს რომ  
ერთი სხვა დიდი სტამბაც მოემატოს, მაშინაც-კი საქმა-  
რისი იქმნება მათთვის საქმე, რაღანაც ხშირად ხსენე-  
ბული სტამბები ვერც კი ასდიან საქმეების შესრულებას.

მაშასადამე მკიოხეველი აშკარათ მიხვდება, რომ  
ჩვენში, რამდენიც დრო გადის, იმდენი მწიგნობრიობის  
საქმეც წინ მიღის და სტამბის მოთხოვნილებაც ემატება.  
სტამბა და წიგნის ბეჭდვის საჭიროება თვილისს გარეშე  
საქართველოს სხვა კუთხეებსაც დიდათ დაეტყო, ისეთია  
ნამეტურ იმერეთი. ქუთაისში მთავრობისაგან გახსნილი  
სტამბა 1850 წლებიდამ არსებობდა, ამ სტამბაში ხან-  
დისხან ქართული წიგნებიც იბეჭდებოდა, მაგრამ ეს არ  
კმაროდა, 1880 წ. იქ გაიხსნა მეორე სტამბა სადაც  
ქართული წიგნების ბეჭდვამაც კარგათ იჩინა თავი.  
1875 წლების შემდეგ იმერეთს უფრო ემცნეოდა წიგ-  
ნების ბეჭდვის მოთხოვნილების საჭიროება, იმერთ შო-  
რის ზოგიერთებმა იწყეს სხვა და სხვა წიგნების გამოცე-  
მა ქ. ქუთაისს. ამ გარემოებამ სხვა სტამბის გახსნაც მო-  
ითხოვა, მალე გაიხსნა იქ მ. გამრეკელის სტამბა, სადაც ერთ  
დროს გაზეთ „შრომაც“ იბეჭდებოდა. აქეე დაიბეჭდა „ვე-  
ფხის ტყაოსანი“ სახალხოთ, ახალის სახის მექონ ასოებით,  
რომლის ყალიბების ჩამოსხმა და ასოების შემოღება კ.  
ლორთქიფანიძეს ეკუთვნის. ეს ასოები დაწუნებულ იქმ-  
ნა ქართველთაგან, ამიტომ იგი დაშთა უსმირებელი. ერ-  
თის შეხედეთ ეს ასოები ბერძნულ ასოებს ჰვავს, კაცს  
თევალს უკრელებს; ამას შევრათ სჯობია ის ახალი ასოე-  
ბი, რომლის ყალიბები ნიკოლოზ ნიკოლაძემ პარიზში  
გააკეთებინა, ასოებიც ჩიმოასხმევინა და საბეჭდათაც ვცა-



დეთ, მაგრამ ვერც იგი აღმოჩნდა ჩვენს უარსაგათ რომელი დარებით-კი ეს უნდა სჯობდეს ზემოხსენებულს და ქუთაისში შემოლებულს. ეს სტამბა შემდეგ გადაეიდა პ. წულუკიძის ხელში. ხსენებულ სტამბას მოჰყვა ბ. ფერაძის სტამბა, სადაც ქართული ასოებიც მოათავას და წიგნების ბეჭდვაც დაიწყეს.

იმერეთში ყველაზე დიდი შრომა და იმაგი გამოიჩინა დეკ. დ. ლაშბაშიძის სტამბამ, სადაც დლევანდლამდე იბეჭდება სასულიერო გაზეთი „მწყემსი“ და აკაკის თვიური ქუჩნალი „კრებული“. აქვე იბეჭდება სხვა და სხვა სასულიერო დიდროონი წიგნება, ხშირათ წერილი წიგნებიც, სახალხოდ, კაპეიკიდამ დაწყობილი 10 კაპ, ზოგი ჩვენის ისტორი დამ და ზოგიც საღმრთო სჯულის ისტორიიდამ. სტამბის დაარსებამ და წიგნების ბეჭდვამ დიდი საჭმე, დიდი სამსახური დათვესეს, იმერეთის ერში წიგნების კითხეა და სიყვარული უადვილესათ აღაფრთოვანეს, თფილისის მაწანწალა ვაჭრების წიგნებსაც იქით გზაში გადაელობნენ. ამ სტამბის შემდეგ ქუთაისში გაიხსნა ივ. კილაძის და იოს. ხელაძის სტამბა, სადაც იბეჭდება დრო და დრო ქართული წიგნები. აქვე გამოიცენ ქუთაისის ამხანაგობის გამოცემანი. ქუთაისის ოთხ სტამბას მალე მეხუთეც მოემატა, ეს იყო იოს. ჭყონიას სტამბა, სადაც იბეჭდებოდა გაზეთი «მეურნე». სხვა და სხვა გარემოების მეოხებით ამ სტამბაზ დიდხანს ვერ შესძლო არსებობა და მიტომ იგი შეძენილ იქმნა ბ.ბ. კილაძისა და ი. ხელაძისაგან, დღეს ქუთაისში სულ ოთხი სტამბა არსებობს, ქუთაისში ამსზე მეტი ვეონებთ ჯერ სიჭიროც არ იქმნეს. რაღაც იმერთ შორის ყოველს დაბასა და ქალაქშიაც იღვიძებს სტამბის გახსნის საჭიროება, მაგალითად, საჭმე და მიმბაძობა ისე წავიდა მათ შორის, რომ



1887 წ. კოწია ჩითანის ძე თავართქილაძემ თვთი და გენერალური გენერალური განაცხადი წიგნის საბეჭდი სტამბა. იმ სტამბის განაცხადის საქმეს გრ. გურიელი დიდის სიხარულით მიეღება. პირველ დღესვე შებრძანდა სტამბაში და სოთ-ამწყობს ასე უთხრა:—,,რას კავკაციაში, იმასც მოკესწარ, რომ გურიაში, ოზურგეთში, სტამბა კნახე თქ., თქვენს მარ-კავკაციას კა კუნაცვალე, თქვენს მარკავკაციას, რითაც-კა მისურ-კებთ და დამაკაცებთ, მე მზათა კარ, რომ უკველთვის გემ-სახუროთ“. ამ სტამბაში გამოიცა „ვეფხის-ტყაოსანიც“—კი. სხვა და სხვა წვრილი და დიდრონი წიგნებიც, გუ-რულები ჩემი შეეჩივნენ სტამბის საქმეებს. მათში მალე ჩემულებათ წავიდა ქორწინების და მიცვალებულთა ამ-ბების განცხადებათ ბეჭდვა. კ. თავართქილაძემ ამ სტამ-ბის განცხადით დიდი სამსახური გაუწია კერძოთ გურულებს და საერთოთ ქართველებს. ეს ენერგიული კაცი მარტოთ ოზურგეთის სტამბას არ დასჯერდა, იგი გადავიდა სამეგ-რეონში და დ. სენაკშიაც განაცხად წიგნების საბეჭდავი სტამბა, სადაც მრავლად იწყეს წიგნების გა-მოცემა. კ. თავართქილაძის გარდა სტამბის აღეილათ პო-ვნის მეოხებით სხვებმაც იწყეს დრო და დრო წვრილი წიგნების გამოცემა. სენაკს შევდევ ამავე პირმა და ილფ. მიქელაიშვილმა ბათუმშიაც განაცხეს ქართული წიგნების საბეჭდავი სტამბა, სადაც პირველად გამოიცენ ქართული წიგნები. ჩვენს ძველებს რომ სმენა ჰქონდესთ, მაშინ იგინი ბათუმში ასეთი სტამბის განცხადით მვონი გაიხარებ-დენ. ამათ სტამბის განცხადის პათუმში მახარაძესაც ჰქო-ნდა სტამბა, სადაც მცირედ ქართული ასოებიც იყო, იგი უფრო რუსულ საქმეების კეთებას მისდევდა. კ. თავარ-თქილაძის სტამბის განცხად ბათუმში ბერნაირათ იმოქმე-და, იმედია იქ წიგნების გამომცემლობაც წარმატებას მი-



ეცემა, ამის ნიშნები ჩვენ უკვე ენახეთ: წიგნთ გამოშლეულია მეღ ამხანგობა „გლეხმა“ პირველად ბათუმში ამ სტამბიდამ დაიწყეს გამომცემლობა,

ზემო ხსენებულ სტამბებთ გარდა ფოთსაც ეღირსა სტამბა და 1890 წლებში, იქ გახსნა სტამბა ლევრენტი ტულუშმა. ამინაც მოათავსა ქართული ასოები, ქართული წიგნებიც გამოსცა. მაგალითად იქ დაიბეჭდა ვრცელი საექიმო წიგნი „სიმრთელის კილობანი“, ორი წიგნი ქართულის პიესებისა და რამდენიმეც სხვა წერილი წიგნები. ამავე სტამბის პატრიონმა პატარა სტამბა ზუგდიდშიაც გახსნა, სადაც დღევანდლამდე არსებობს, ზუგდიდის შემდეგ სოხუმშიაც გახსნეს სტამბა, სადაც სანატორელია, რომ ქართული წერილი წიგნების ბეჭდვაც დაიწყონ. ასეთსავე საჭიროებას შეადგენს ახალციხეში ქართული სტამბის დაარსება და წიგნების ბეჭდვა, ეს არის რიცხვი ძლევანდელის იმერეთის სტამბების და რაც დრო გადის მით მათი მოთხოვნილებაც ერთი ათად მატულობს, ქართალსა და კახეთში კი ეს ასე ვერ მაღის, თუმცა ექვთიმე ხელაძის წყალობით პატარა სტამბება თელავსა და სილანისაც გაიხსნა, სადაც დღევანდლამდინაც არსებობს, ორივე ქალაქის სტამბებში წიგნებიც დაიბეჭდა აღრე. ჩვენ გვევონა, რომ იქ სხვა-და-სხვა გამომცემლებიც იჩენდნენ თავს, მაგრამ რამდენიმე წიგნაკების გამოცემის შესდეგ იქ სხვა არავინ გამოჩნდა, არაეინ რა დაბეჭდა. სსენებულ ქალაქების საქმეთა მოწყობას არც გორი ჩამორჩა, აქ სტამბა გახსნა არ. კალანდაძემ, ეს სტამბა დღესაც არსებობს, ქართული ასოებიც აქვს, პირველ წიგნათ აქ გამოიცა „მიბაძვა ქრისტესი“ თომა კემფელისა, თარგმანი პატარის ანსელმო მღებრიშვილისაგან. ვენ სრული იმედი გვეინდა, რომ ამ სტამბიდან სხვა



წიგნებიც გამოიცემოდნენ, მაგრამ ეს ასე არ იქნია ასეთი სახელმწიფო საქართველოს წიგნით შეჩერდა გამოცემა. უკანასკნელს წლებში, თვით კავკავის ქართველთაც იგრძნეს ქართული ასოების საჭიროება, კავკავის ერთმა უცხოელმა მესტამბეჭდში ქართული ასოებიც გაიჩინა და იქ ორი ქართული წიგნაკიც დაიბეჭდა. იმედია შემდეგ სხვებიც მიბაძ ვენ ამ სამაგალითო საქმებს და წიგნების გამოცემას განაგრძოდნენ. სხვა-და-სხვა გარემოებამდე და შემთხვევებმა ქართული სტამბების დახსნის საჭიროება საქართველოს გარეშე, უცხო ქვეყნებშიაც იქმნა გამოწვეული. მაგალითებრ: 1850 წ. ვენეციაში, წმ. ლაზარეს მონასტერში, საღაც არსებობდა სომუა-კათოლიკეთა მხითარისტების სტამბა, იქვე პეტრე ხარისჭირაშვილის მეოხებით ჩამოსხმულ იქმნა ქართული ასოების ახალი ყალიბები, მით ახალი ასოები და იმავე ღროს წიგნების გამოცემაც იწყეს. შემდეგ ეს ასოები იქიდამ 3. ხარისჭირაშვილმა კოსტანტინეპოლის გადმოიტანა, თავისაგან აღშენებულს მონასტრის ზღუდეთა შორის ერთს სახლში მოათავსა 1870 წ. ეს სტამბა დღევანდლამდე არსებობს. კოსტანტინეპოლის შემდეგ, 3. ხარისჭირაშვილის მეთაურობით ახალი ქართული სტამბა მონთობანშიაც მოთავსდა (ფრანცია), საღაც ქართველ კათოლიკეთ ბერების მეოხებით რამდენიმე ქართული წიგნებიც გამოიცენ. როგორც ვიცით, დღეს ამ სტამბებში წიგნების გამოცემის საქმე შეჩერებულია, პეტრე ხარისჭირაშვილის სიკედილით საზღვარი მიეცა ასეთ საქმეთა წარმატებას. სამწუხაროა ასეთი დიადი საქმის მომავალში დაკნინება. ამ ადგილებთა გარდა 1832 წ. პარიზში აკადემიკმა მარრ ბროსემ ქართულ-ფრანგულის ასოებით ლიტოგრაფიულის ბეჭდვით გამოსცა ქართლის ცხოვრების ნაწილი, რომელსაც ჩვენში ამ ისტორიას



„პარიეს ქრონიკა“ ეწოდება. 1845 წ. ტრიესტში, უნგრეთის თოვლის ბეჭდვით, გამოიცა ქართული წერის დღანი, შედგენილი ტარასი არქიმანდრიტისაგან, ვისი გამოცემა არის ამისი ჩვენ არა ვიცით-რა.

XVIII საუკ. სტამბებთა აღწერაში ჩვენ არ ავნიშნეთ შემდეგი: 1795 წ. უბედურების შემდეგ, როგორც ნათქვამი გვაქვს ზემოთ, თფილისში, ქართული სტამბა მალე განახლდა ისე, რომ 1796 წ თფილისში ორი-სამი ვრცელი ქართული წიგნიც გამოიცა. განახლებულის სტამბისთვის რუსეთიდამ გამოიწერეს სტანკები და ზოგიც სხვა იარალი. ერთი სტანკი, მეფის ბრძანებით, თფილისიდამ სომეხთ კათალიკოზს ლუკაზს გაეგზავნა საჩუქრათ, რადგანაც 1795 წ. მტრისაგან ეჩმიაძინის სომეხთ სტამბაც იქმნა შემუსვრილი. ამ სტანკის გაგზავნის შესახებ პ. იოსელიანსაც იქვს ცნობა.

მეფე ერეკლეს და სომეხთ კათალიკოზს ლუკაზს (1780—1799 წ.) შორის დიდი მეგობრობა ყოფილა გამართული, ამათ ერთმანერთისთვის ხშირად წერილები უგზავნიათ. ხანდისხან ერთმანერთს დახმარებიან კიდევც უმისობა, რასაკვირველია, არც შეიძლებოდა. ამ უკანასკნელ წლებში, ეჩმიაძინის სომეხთ კათალიკოზის ძველ წიგნებთა მდივან ხანაში აღმოჩნდა დიდალი წერილები მეფე ერეკლეს და ლუკაზ კათალიკოზის ერთმანერთაან მიწერილები. ყველა ეს წერილები ერთათ შეკრიბა სომეხ მოძღვ. აღნიანშა და 1899 წ. თფილისში ცალკე ტომად დასტამბა. ამას ეწოდება «მდივანი სომხეთის ისტორიისა» (1780—1800) სხვათა მასალებთა შორის აქ მოიპოვება შედევრი ცნობაც ჩვენი სტამბის შესახებ.

მეფე ერეკლეს და ლუკაზ კათალიკოზს ისეთი მეგობრობა ჰქონიათ ერთმანერთაან, რომ ლუკა კათალი-

კოზეს ვითომც მეფე ერეკლესთვის ეჩმიაძინის სტამბიდაშ ერთი კარგი სტანკი გამოეგზავნოს ფეშქაშათ. ცნობები მოგვითხრობს, რომ ვითომც დასაბეჭდს ქალალ დასაც მეფეს კათალიკოზი უგზავნიდა ეჩმიაძინიდამ. ამის შესახებ ჩვენ ში არაფერი ცნობებია დაშვენილი. გარდა ამის ცნობები გვაუწყებს, რომ სომეხთ კათალიკოზის ამსტერდამიდამ (ჰოლანდია) სხვა და სხვა ენგბის ლექსიკონები გამოეწეროს და ყველა ესენი მეფე ერეკლესთვის მიერთმიოს ფეშქაშათ. ეს ოუ მართალია, მაშინ, ჩვენის ფიქრით, იგი 1785 წლებში უნდა ყოფილიყო ს. ცნობა არს, რომ ესევე კათალიკოზი შუაღიღომლობდა შახრიმიანთან მიწერ-მოწერაში, რომელიც მეფე ერეკლეს და მის შორის აღიძრა 1780 წლებში. ჩვენს ქართველთ სტამბის ვა მართვის ისტორიაში არსად არის მოხსენებული ეს სომხური ცნობები, რომელთა სიმართლეში ჩვენ ეპვი გვაქვს.

სასიამოენო იქმნება, რომ სსენებულ საქმეებთა შესახებ ცნობები ჰეიკიბოს, ჰეშმარიტებით კითხვა გამოირკვეს.

ი. ეს გახლავთ ანგარიში და ისტორია ყველა იმ სტამბების, რაც კა 1825—1900 წლამდე საქართველოს და მის გარეშე ძველებში დასანიურა და წიგნები უბეჭდავთ.



ზ. პ.

# ვახტანგ მიმდვერი

ღ

სხვათა შრომა ქართული სტამბის წინაშე

ზ. ჭ.



გამოცემა

ხელოსნის ვარლამ ტეტელაშვილის მიერ.

ტფილისი

სტამბა „განათლება“ ღ. ღ. პიტნავასი.

1916 წ.



ეროვნული  
ბიблиოთეკა  
საქართველოში